F-171
1984

საქართველოს სსრ განათლების მინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1984

№ 10

ოქტომბერი ОКТЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ჭურკაოკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 22/X-84 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/11-85 წ.;
ანაწყობის ზომა 6¼×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 4,75;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4.

შეკვ. № 723 უე 11070 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-5269

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1984 წლის 19 ივლისის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ დოსაააფის რესპუბლიკურ სპორტულ ბაზაზე 1984 წლის 9-11 ივნისს ჩატარდა ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის დასკვნითი ტური, რომელსაც წინ უძღოდა სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური კონკურსები.

ავტომობილის ნორჩ მძღოლთა რესპუბლიკური კონკურსის დასკვნით ტურში მონაწილეობა მიიღო ქ. ქ. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, გორის, ცხინვალის, ზუგდიდის, სამტრედიის, ახალციხისა და ზესტაფონის ზონალურ ტურებში გამარჯვებულმა 23 ნორჩმა მძღოლმა.

საპრიზო ადგილებზე გამოსულ და კონკურსის მონაწილე სხვა ნორჩ მძღოლებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ პრიზები, დიპლომები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

რესპუბლიკური კონკურსის დასკვნით ტურში საგზაო მოძრაობის წესების, ავტომობილის მოწყობილობისა და ექსპლოატაციის საფუძვლების კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს ქ. ქ. ქუთაისის, ბათუმის, გორის, აბაშის, ზესტაფონის და სხვა ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ნორჩმა მძღოლებმა.

ამასთან, ავტომობილის ნორჩ მძღოლთა სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ტურების ჩატარების საქმეში შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები. კონკურსის დასკვნით ტურში ნაცვლად დებულებით გათვალისწინებული 39 მოსწავლისა, მონაწილეობდა 23 მოსწავლე, რაც იმის შედეგია, რომ ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ აღნიშნული კონისძიების ჩატარების საქმეს. სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა დროულად არ დაიყვანეს ყველა სკოლამდე კონკურსის ჩატარების დებულება და პირობები; არ მოამზადეს მოსწავლეები კონკურსისათვის. არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც ადგილებზე არ ატრდება სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ტურები. მის გამო მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა ვერ გაართვა თავი კონკურსის დებულებით გათვალისწინებული დავალებების შესრულებას, ვერ გამოამჟღავნა ავტომობილის ტარებისა და მისი ტექნიკური მომსახუ-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევები. შრომითი სწავლების მასწავლებლებისა და ავტომობილის ტარების საწარმოო სწავლების ოსტატთა ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ უთმობს კონკურსისათვის მოსწავლეთა სისტემატურ მომზადებას, არ ავლენს ავტოსაქმით დაინტერესებულ მოსწავლეებს, სახალხო განათლების, კომკავშირის, შინაგან საქმეთა და დოსაააფის ადგილობრივი ორგანოები კი საკმარის კონტროლსა და დახმარებას არ უწევენ სასკოლო, რაიონულ (საქალაქო) და ზონალური ტურების მომზადებასა და ჩატარებას.

ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსი ჩატარდეს ოთხ ეტაპად: სასკოლო, რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური. სასკოლო კონკურსი ჩატარდეს 1985 წლის 31 ოქტომბრამდე, რაიონული (საქალაქო) — 1985 წლის 15 დეკემბრამდე, ზონალური — 1986 წლის 23-25 მარტს, რესპუბლიკური — 1986 წლის 9-10 ივნისს.

2. დამტკიცდეს ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების დებულება და პირობები (თან ერთვის).

3. დამტკიცდეს ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩამტარებელი რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

კობახიძე მ. კ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, თავმჯდომარე

ხაჩიძე მ. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, თავმჯდომარის მოადგილე

შადური ვ. ი. — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე

ჩხაიძე თ. დ. — საქართველოს სსრ დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე

დობორჯგინიძე ზ. ს. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი, მდივანი

ტატიშვილი თ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი

შალამბერიძე გ. გ. — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი

ალავერდაშვილი ა. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

ლომსიანიძე ზ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი

მაჩაბელი თ. ს. — საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს სასწავლო მუშაობის განყოფილების გამგე

წიქარიშვილი ა. გ. — საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს სახალხო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი ინჟინერი

ტონია ს. კ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საკოლო ინსპექტორი

დევდარიანი გ. ზ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სექტორის გამგე

ეპიტაშვილი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

მანგიაშვილი შ. ზ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური კაბინეტის შრომითი სწავლების განყოფილების გამგე

კილურაძე მ. ვ. — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს პროპაგანდისა და აგიტაციის ქვეგანყოფილების ინსპექტორი

ბაღაშვილი ვ. მ. — საქართველოს დოსაფის სპორტულ-ტექნიკური კლუბის „შევარდენის“ დირექტორი

4. ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა:

4. 1. უხელმძღვანელოს ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებას და გაწეული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სსრ დოსაფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს;

4. 2. დროულად ჩაატაროს ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის მოსამზადებელი სამუშაო და რაიონები (ქალაქები) უზრუნველყოს სახელმძღვანელო და მეთოდური მასალებით;

4. 3. განახორციელოს ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ჩატარებაზე ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

5. 1. განიხილონ ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. აღნიშნული გადაწყვეტილება დროულად დაიყვანონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებამდე;

5. 2. განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ჩატარებაზე;

5. 3. მიიღონ ქმედითი ზომები, რათა მიაღწიონ კომკავშირის, შინაგან საქმეთა და „დოსაააფის" ადგილობრივი ორგანოების მხარდაჭერასა და დახმარებას, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებსა და ავტოსაქმის მასწავლებლებს კონკურსისათვის მზადების პერიოდში ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნაში;

5. 4. რესპუბლიკური კონკურსისათვის მზადება, როგორც წესი, დაიწყონ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისიდან;

5. 5. უზრუნველყონ ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტში კონკურსის რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ანგარიშებისა და კონკურსის დასკვნით ტურში მონაწილეობის შესახებ განაცხადების წარმოდგენა 1986 წლის 30 მარტამდე.

6. საქართველოს ალკკ აფხაზეთისა და აჭარის საოლქო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა:

6. 1. განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ორგანიზებულად ჩატარებაზე;

6. 2. უზრუნველყონ ავტომობილის ნორჩ მძღოლთა კონკურსის საზეიმო გახსნისა და დახურვის რიტუალების ორგანიზება და კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარება.

7. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა უფროსებმა:

7. 1. განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი ავტომობილის ნორჩ მძღოლთა რესპუბლიკური კონკურსის რაიო-

ნული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ორგანიზებულად ჩატარებაზე;

7. 2. დახმარება აღმოუჩინონ ავტომობილის ნორჩ მძღოლთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური კონკურსის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტებს კონკურსის ჩატარებისათვის საჭირო პოლიგონების (ტრასების) შერჩევისა და მოწყობის საქმეში;

7. 3. გამოყონ სათანადო სპეციალისტებისაგან მსაჯები ავტომობილის ნორჩ მძღოლთა რაიონულ (საქალაქო) და ზონალურ კონკურსებში გამარჯვებულთა გამოსავლინებლად;

7. 4. უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით ავტომობილის ნორჩ მძღოლთა კონკურსის ჩატარებისათვის უზრუნველყონ გამოყოფილი ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება და პოლიგონების (ტრასების) მიმდებარე ტერიტორიაზე კონკურსის ჩატარების დღეს მოძრაობის შეწყვეტა.

8. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების, დოსაფის რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

8. 1. განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ორგანიზებულად ჩატარებაზე;

8. 2. დახმარება აღმოუჩინონ ავტომობილის ნორჩ მძღოლთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური კონკურსების ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტებს კონკურსისათვის საჭირო პოლიგონების (ტრასების) შერჩევისა და მოწყობის საქმეში;

8. 3. გამოყონ ავტომობილის ნორჩ მძღოლთა რაიონული (საქალაქო) და ზონალური კონკურსების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო ავტომანქანები და საწვავ-საცხებ მასალები;

8. 4. გამოყონ სათანადო სპეციალისტებისაგან მსაჯები ავტომობილის ნორჩ მძღოლთა რაიონულ (საქალაქო) და ზონალურ კონკურსებში გამარჯვებულთა გამოსავლინებლად.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ი. კერესელიძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში 1986 წლისათვის გაითვალისწინოს ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 1986 წლისათვის გამოუყოს ავტომობილის ნორჩ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსისათვის საჭირო რაოდენობის ქაღალდი.

11. გაზეთების „სახალხო განათლების", „ახალგაზრდა კომუნისტისა" და „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, რ. ბალანჩივაძე, ვ. ანასტასიდი) დააწესონ თითო პრიზი ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად, პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები კონკურსის მიმდინარეობის შესახებ.

12. ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესდეს სამახსოვრო პრიზები, მათ შორის:

— საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხი პრიზი;

— საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ოთხი პრიზი;

— საქართველოს სსრ დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის ოთხი პრიზი.

13. ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკურ კონკურსში ყველა მონაწილისათვის დაწესდეს სამახსოვრო სამკერდე ნიშანი.

14. დაწესდეს ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად ჩემპიონის ლენტი, I, II III ხარისხის დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

15. რესპუბლიკური კონკურსის ყველა მონაწილეს მიეცეს სიგელი, სამახსოვრო სუვენირი და სამკერდე ნიშანი.

16. ეთხოვოს საქართველოს სსრ ავტოსატრანსპორტო სამინისტროს ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დააწესოს ერთი გარდამავალი და სამი სამახსოვრო პრიზი.

17. ხარჯებს ავტომობილის ნორჩ მძღოლთა კონკურსის მონაწილეთა კონკურსის ჩატარების ადგილზე გასამგზავრებლად და უკან დასაბრუნებლად ეწევა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები.

18. კონკურსის მოწყობის, ავტომობილის ნორჩ მძღოლთა კონკურსის მონაწილეთა ბინითა და კვებით უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯებს გაიღებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ზონის ცენტრის სახალხო განათლების განყოფილებები.

19. ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის მომზადება-ჩატარების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდნენ: ალექსანდრე თედორის ძე ხარაიშვილი, ქ. გორის განათლების განყოფილების შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორი და მერაბ ვახტანგის ძე კიღურაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს ქვეგანყოფილების ინსპექტორი.

20. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. ა. ალვერდაშვილი), საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს (ამხ. გ. შალამბერიძე) და საქართველოს სსრ დოსაათის ცენტრალური კომიტეტის სპორტულ განყოფილებას (ამხ. თ. ჩხაიძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი Ო. ჭინქლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი
ვ. ლორთქიფანიძე

საქართველოს სსრ შინაგან
საქმეთა მინისტრი
გ. გვეტაძე

საქართველოს სსრ დოსაფის
ცენტრალური კომიტეტის თავმჯ-
დომარე
კ. ნანეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების დებულება

ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკურ კონკურსს ატარებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ შინა განსაქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ დოსაააფის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ ავტომობილისტთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს სსრ დოსააფის რესპუბლიკური სასპორტო კლუბის მონაწილეობით.

I კონკურსის მიზანი

შრომითი სწავლების პროცესში მოსწავლეთა მიერ ავტომობილის ტარებასა და მის ტექნიკურ მომსახურებაში, უსაფრთხოებისა და საგზაო მოძრაობის წესების საფუძვლებში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენა-სრულყოფა.

ტექნიკური პროფესიებისა და ტექნიკური სპორტისადმი ინტერესების განვითარება და აღზრდა.

II კონკურსის მონაწილენი

ავტომობილის ნორჩ მძღოლთა კონკურსში მონაწილეობას ღებულობენ ავტოსაქმისსწავლებიანი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო აკოლების IX-X კლასების მოსწავლეები, რომლებიც კარგად არიან დაუფლებული ავტომობილების მართვის ჩვევებს, გამოირჩევიან სანიმუშო ყოფაქცევით, საგზაო მოძრაობის წესების, ავტომობილის მოწყობილობისა და ექსპლოატაციის საფუძვლების კარგი ცოდნით.

კონკურსის ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს: ცნობები სკოლიდან, რომელი სკოლისა და კლასის მოსწავლეა, აგრეთვე ცნობები უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟის გავლისა და ჯანმრთელობის შესახებ.

III. კონკურსის ჩატარების ვადები

ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსი ტარდება ოთხ ეტაპად:

— სასკოლო-ყოველწლიურად

— რაიონული (საქალაქო) — ყოველწლიურად, რაიონულ (საქალაქო) კონკურსში დაიშვებიან სასკოლო კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები;

— ზონალური — ორ წელიწადში ერთხელ. მასში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან რაიონულ (საქალაქო) კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები;

— რესპუბლიკური — ორ წელიწადში ერთხელ, მასში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ზონალურ კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები.

შენიშვნა: თუ რაიონში (ქალაქში) შრომითი სწავლება ავტოსაქმეში ხორციელდება მხოლოდ სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატის ბაზაზე, მაშინ სასკოლო კონკურსი არ ტარდება.

IV. კონკურსის ორგანიზაცია და ჩატარების პირობები

კონკურსის ჩატარების ორგანიზატორები არიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სსრ დოსაააფის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და საქართველოს სსრ დოსაააფის ცენტრალური სასპორტო კლუბი.

ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსი ტარდება ოთხ ეტაპად — სასკოლო, რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური, შესაბამისად იქმნება საორგანიზაციო კომიტეტები.

რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 5-7 წევრით, კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 9-11 წევრით, კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ზონის ცენტრის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

ზონალური შეჯიბრების ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 13 ზონად. ზონის ცენტრებად შერჩეულია:

1. ქ. სოხუმი — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
2. ქ. ბათუმი — აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
3. ქ. ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლების მოსწავლეებისათვის
4. ქ. თბილისი — ქ. თბილისის, თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგისა და *საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის*
5. ქ. რუსთავი — ქ. რუსთავის, თეთრი წყაროს, მარნეულის, გარდაბნის, წალკის, დმანისის და ბოლნისის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

6 ქ. ქუთაისი — ქ. ქუთაისის, ამბროლაურის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, ონის, ცაგერისა და წყალტუბოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. ზესტაფონი — ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ტყიბულისა და ჭიათურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

8. ქ. გორი — ქ. გორის, გორის, ხაშურის, ქარელის, მცხეთის, კასპისა და ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

9. გურჯაანი — გურჯაანის, ახმეტის, თელავის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, ყვარლისა და სიღნაღის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

10. მახარაძე — მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

11. ახალციხე — ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძისა და ადიგენის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

12. სამტრედია — სამტრედიის, ვანის, წულუკიძისა და აბაშის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

13. ქ. ზუგდიდი — ქ. ზუგდიდის, ქ. ფოთის, ზუგდიდის, ცხაკაიას, მესტიის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობისა და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

რაიონული (საქალაქო) ეტაპი ტარდება 1985 წლის 15 დეკემბრამდე. რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი გამარჯვებულ მოსწავლეთა სიას, რომლებმაც I, II, III ადგილები დაიკავეს, წარადგენს ზონალურ საორგანიზაციო კომიტეტში 1986 წლის 20 იანვრამდე, ზონალურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

ზონალური კონკურსი ტარდება 1986 წლის 23-25 მარტს ერთდროულად ყველა მონაწილისათვის. ზონალური საორგანიზაციო კომიტეტი გამარჯვებულ მოსწავლეთა სიას, რომელთაც I, II და III ადგილები დაიკავეს, წარადგენს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში 1986 წლის 30 მარტამდე, რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

რაიონული (საქალაქო) და ზონის საორგანიზაციო კომიტეტები განაცხადთან ერთად აგზავნიან ანგარიშს კონკურსის ჩატარების თაობაზე შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის გამზირი 18, მთავრობის სახლი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

მესამე ეტაპი — რესპუბლიკური კონკურსი ტარდება 1986 წლის 9-10 ივნისს — ქ. თბილისში.

რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებული ავტომობილის ნორჩი მძღოლები, რომლებიც დაიკავებენ I, II და III ადგილებს, ჯილდოვდებიან I, II და III ხარისხის სიგელებითა და ფასიანი პრიზებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. კონკურსის ჩატარების შინაარსი და წესი

კონკურსის მონაწილენი ეჯიბრებიან ავტომობილის ტარებასა და მისი ტექნიკური მომსახურების ოსტატობაში, უსაფრთხოების საფუძვლებისა და საგზაო მოძრაობის წესების ცოდნაში, კონკურსი ტარდება სამ ეტაპად:

პირველი ეტაპი — ავტომობილის ტარება სწორ ან უმნიშვნელო უსწორმასწორო ადგილიან გზაზე.

მონაწილენი ეჯიბრებიან საგზაო ნიშნებითა და სხვადასხვა სახის წინაღობებით („კლაკნილა", „ლიანდი", „ნაკვალევი", რკინიგზის გადასასვლელი შლაგბაუმით, გაბარიტული გვირაბი, ლაბირინთი და სხვ.), რომელთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ხუთს 1 კილომეტრამდე საერთო სიგრძის მქონე ტრასაზე. ტრასა ეწყობა სხვა სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთაგან იზოლირებულ ტერიტორიაზე. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას არსებული ავტოდრომები, ავტოპოლიგონები და საბავშვო საავტომობილო გზები.

ტრასის გავლამდე ყველა მონაწილე ავტომობილს აჩერებს მისთვის განსაზღვრულ სადგომზე, ხოლო ტრასის გავლის შემდეგ ავტომობილი უნდა გააჩეროს ისე, რომ პირველივე ცდით ორივე წინა თვლებმა კონტატი იქონიონ ხაზთან „სდექ".

ყველა სავარჯიშოს შესრულების სისწორისა და სიზუსტის, მის შესრულებაზე დახარჯული დროის გათვალისწინებით კონკურსის მონაწილეს ერიცხება ან აკლდება გარკვეული რაოდენობის ქულები, ნორმატივებს განსაზღვრავს მსაჯთა კოლეგია კონკრეტული ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე.

ტრასის გავლის დროს ერთ-ერთი მსაჯი უნდა იმყოფებოდეს ავტომობილის კაბინაში.

მეორე ეტაპი — ავტომობილის ტექნიკური მომსახურება.

კონკურსის მონაწილეს ეძლევა რამდენიმე მარტივი სახის დავალება (არაუმეტეს სამისა), რომლის შესრულებაც არ თხოულობს დიდი დროის დაკარგვას; ანთების ნაწილის შეცვლა, გადამწვარი ნათურის პოვნა და მისი შეცვლა, საბურავებში ჰაერის წნევის გაზომვა, ვენტილატორის ღვედის დაჭიმულობის შემოწმება და მისი რეგულირება, ბორბლის შეცვლა, ძრავას კარეტში ზეთის დონის შემოწმება და სხვა. ცალკეული დავალებების შესრულებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტოკლასის მოწყობილობა, აგრეგატები, რომლებიც დამონტაჟებულია სახელოსნოში.

თუ მონაწილე ჩაეტევა გამოყოფილ დროში და ხშირად შეასრულებს ყველა ოპერაციას, მაშინ მას ერიცხება გარკვეული რაოდენობის ქულები, საკონტროლო დროზე უკეთესი მაჩვენებლების მქონე მონაწილე წახალისდება დამატებითი ქულებით. ამასთან, საკონტროლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროზე გადაცილებული დროის პროპორციულად შეიძლება მოეხსნას ქულების გარკვეული ნაწილი. გარდა ამისა, მონაწილეს ქულები შეიძლება მოეხსნას დავალების შესრულების დროს უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევის შემთხვევაშიც.

მესამე ეტაპი — უსაფრთხოებისა და საგზაო მოძრაობის წესების საფუძვლების ცოდნის შემოწმება.

მონაწილეები ეჯიბრებიან საგამოცდო ბილეთებით ან „ვიატკა" ტიპის აპარატებით, საგამოცდო ბილეთებზე პასუხის მომზადებისათვის მონაწილეს ეძლევა 15 წუთი. მონაწილე, რომელიც ჩაეტევა გამოყოფილ დროში და ბილეთის ყველა საკითხზე გასცემს სწორ პასუხს, ღებულობს დაწესებული რაოდენობის ქულებს, ერთი არასწორი პასუხისათვის ქულების ნაწილი იხსნება, ხოლო ორ და მეტ არასწორ პასუხზე მონაწილეებს ნული ქულა ეწერება. ბილეთები შეიცავს ათ საკითხს.

პირად ჩათვლაში გამარჯვებულ მონაწილეთა განსაზღვრა ხდება კონკურსის სამივე ეტაპში დაგროვილი ქულების ჯამით.

VI. კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება და წახალისება

სასკოლო კონკურსებში გამარჯვებულები ჯილდოვდებიან ჩემპიონის ლენტითა და წამახალისებელი პრიზით.

რაიონულ (საქალაქო), ზონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში გამარჯვებულები ჯილდოვდებიან:

I ადგილზე გამოსულები — ჩემპიონის ლენტით, I ხარისხის დიპლომითა და წამახალისებელი პრიზებით;

II ადგილზე გამოსულები — II ხარისხის დიპლომითა და წამახალისებელი პრიზებით;

III ადგილზე გამოსულები — III ხარისხის დიპლომებითა და წამახალისებელი პრიზებით.

კონკურსის ყველა მონაწილე ჯილდოვდება სიგელებითა და სამახსოვრო სუვენირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 20 ივლისის გ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1242/530

მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილების „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“ შესასრულებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქისა და რესპუბლიკის რაიონების (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. 1. განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის დადგენილებით „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ“ და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით, საფუძვლად დაუდონ ისინი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების საქმიანობას;

1. 2. ამჟამად არსებული მდგომარეობის საფუძველზე მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომისათვის სათანადო ბაზების შექმნის მიზნით თითოეული ცხრაწლიანი და საშუალო სკოლისათვის დაგეგმონ 1984—1990 წლებში შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა და ხასიათი;

1. 3. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შესაბამისად დაგეგმონ მუშათა კადრებზე მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით. თითოეული ცხრაწლიანი და საშუალო სკოლისათვის შეარჩიონ საბაზო საწარმო — უახლოესი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციები;

1. 4. ადგილობრივი პირობებისა და სკოლების მატერიალური ბაზების მდგომარეობის გათვალისწინებით კოლმეურნეობებისა და საბ-

ჭოთა მეურნეობების წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე მოაგვარონ სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების გახსნა;

1. 5. უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის გაფართოებისა და გაუმჯობესების სამუშაოებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა;

— მოსწავლეთა შრომითი სწავლების, საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომის უკეთ ორგანიზების მიზნით გამოყონ მატერიალური და ფინანსური რესურსები წარმოების განვითარების სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და კადრების მომზადების ფონდებიდან;

— უსასყიდლოდ გადასცენ სკოლებს სასწავლო მიზნით გამოსადეგი მოწყობილობა და მასალები, გამოუყონ მათ ხარჯები მოსწავლეთა შრომითი მომზადებისათვის საჭირო სათავსოების მშენებლობის, რემონტისა და აღჭურვისათვის;

— სკოლებთან ერთად მოსწავლეთა კონტინგენტის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომისა და სხვა პირობების გათვალისწინებით განსაზღვრონ და დაგეგმონ მწარმოებლურ შრომაში V-XI კლასების მოსწავლეთა ჩაბმის კონკრეტული ხასიათი და სამუშაოს მოცულობა კლასების მიხედვით;

— მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და მწარმოებლური შრომის ცალკეულ უბნებზე მიამაგრონ კვალიფიციური მუშები მათთვის ადგილებზე ხელფასის შენარჩუნებით არსებული წესის მიხედვით;

— ყველა სოფლის ცხრაწლიან და საშუალო სკოლაზე გააპიროვნონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების სავარგულები, ხეხილის, ციტრუსების, ტექნიკური კულტურების, ვაზის ნაკვეთები. უზრუნველყონ მოსწავლეთა ბრიგადები მიწის დასამუშავებელი და სხვა ტექნიკით, მინერალური და ორგანული სასუქებით, სარწყავი საშუალებებით; უზრუნველყონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი რეკომენდაციების შესრულება (დანართი 1);

— სკოლებთან ერთად მოსწავლეთა მიერ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უკეთ გაცნობისა და შესწავლის მიზნით ცხრაწლიან და საშუალო სკოლებში მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო მანქანების კაბინეტები. მათ მოსაწყობად სკოლებს გადასცენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (დანართი 2 და 3);

— მოაწესრიგონ მოსწავლეთა მწარმოებლური შრომა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგებში, შეიტანონ იგი საწარმოო გეგმაში, ამ მიზნით გამოყონ მოსწავლეთა სამუშაო ადგილები, უზრუნველყონ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-5269

მუშაო იარაღებით, მასალებითა და სპეცტანსაცმლით;

— შრომითი სწავლების, საზოგადოებრივ-სასარგებლო და მწარმოებლური შრომის დროს მტკიცედ დაიცვან მოსწავლეთა ჯანმრთელობა, საწარმოო სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმები, უსაფრთხოების წესები. ამ საქმეზე ზედამხედველობა დააკისრონ ბრძანებით გამოყოფილ მუშაკებს;

— სკოლებთან ერთად განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ მოსწავლეთა უსაფრთხო ტრანსპორტირებაზე. ამ მიზნით გამოიყენონ მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილი, ტექნიკურად გამართული ავტობუსები;

— დაეხმარონ სკოლებს პროფორიენტაციის კაბინეტების მოწყობაში, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური განვითარების, შრომის მორალური და მატერიალური ანაზღაურების, რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების ამსახველი დიაგრამებითა და სქემებით;

— გაატარონ ღონისძიებები მოსწავლეთა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდისათვის. წარმართონ ნორჩი ნატურალისტების საკვლევი-საცდელი მუშაობა;

— დაეხმარონ სკოლებს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის საქმეში, განსაკუთრებით სკოლაში მიღებული პროფესიის მიხედვით.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების შესაბამისად საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს უფლება ეძლევათ, ხოლო კოლმეურნეობებს რეკომენდაცია მიეცათ მეცხოველეობაში დასაქმებული ახალგაზრდა მექანიზატორებისა და მუშებისათვის დააწესონ გამომუშავების შემცირებული ნორმები — სკოლის დამთავრებიდან პირველ სამ თვეს არაუმეტეს 40 პროცენტისა, მომდევნო სამ თვეს — არაუმეტეს 20 პროცენტისა.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

3. 1. პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობა წარმართონ მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის, მათი პოლიტიკური განათლების მნიშვნელოვნად ამაღლების უზრუნველსაყოფად, სკოლაში ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, შრომისა და სხვა საგნების სწავლების მაღალი დონის მისაღწევად და ამით შექმნან წინა პირობები მოსწავლეთა მომზადებისათვის მწარმოებლურ შრომაში ჩასაბმელად;

3. 2. ფართო პროპაგანდა გაუწიონ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგებს, რისთვისაც მაქსიმალურად იქნას გამოყენებული პროფორიენტაციის კაბინეტები, ექსკურსიები, შეხვედრები

ს. ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის ნოვატორებთან და მოწინავეებთან.

4. დაწვრილებითი ანგარიში ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტსა და განათლების სამინისტროში წარმოადგინონ 1985 წლის 1 ნოემბრამდე.

5. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი კადრების სამმართველოს (ამხ. თ. გ. გილიგაშვილი) და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. გ. ტატიშვილი).

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მგელაძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო
წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა და
საქართველოს სსრ განათლების სამინის-
ტროს კოლეგიის 1984 წლის 20 ივლისის
№ 1242/530 ბრძანების დანართი 1

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი რეკომენდაციები

მწარმოებლურ შრომაში მოსწავლეთა ჩაბმის მიზნით სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ მიწის ნაკვეთების, მეცხოველეობის ფერმების ან კომპლექსების უბნების გაპიროვნების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ პროფესიის შეგნებულად არჩევას, სოფლის მეურნეობის რომელიმე დარგში სამუშაოდ მომზადებას, მათს მწარმოებლურ შრომაში ფართოდ მონაწილეობას საზოგადოების კეთილდღეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

მოსწავლეთა შრომითი სწავლება, აღზრდა და პროფესიული ორიენტაცია სასკოლო მუშაობის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ უკანასკნელ წლებში დასახული ღონისძიებების განხორციელებამ.

გაუმჯობესდა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების საქმიანობა. სულ უფრო მატულობს იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც უშუალოდ არიან ჩაბმული მწარმოებლურ შრომაში. გაუმჯობესდა სკოლისა და საბაზო საწარმოების (ორგანიზაციების) ურთიერთკავშირი.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან არ არის შექმნილი სათანადო პირობები მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და მწარმოებლურ შრომაში მათი აქტიურად ჩაბმისათვის. ზოგან ეს საქმე ეპიზოდური, კამპანიურ ხასიათს ატარებს, რაც უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდების მორალურ-ფსიქოლოგიურ განწყობილებაზე, მათ სწავლასა და აღზრდაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივ-სასარგებლო, მწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებლურ შრომაში აქტიურად ჩაბმის მკვეთრად გაუმჯობესების აუცილებლობა ნათლად გამოიკვეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილებაში „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ".

რესპუბლიკის სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და მწარმოებლურ შრომაში მოსწავლეთა ორგანიზებულად ჩაბმის მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნიათ სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა გამოუყონ მოსავლელად და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მისაღებად მიწის ნაკვეთები, პლანტაციები, ბაღები, მინდვრის სავარგულები, მეცხოველეობის ფერმებისა და კომპლექსების უბნები და ა. შ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე მიწის ნაკვეთების, მეცხოველეობის ფერმების ან კომპლექსების უბნების დასამუშავებლად, მოსავლელად გაპიროვნებისა და მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის ღონისძიებათა შემოქმედებითად განხორციელების მიზნით სკოლებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სთავაზობს შემდეგ რეკომენდაციებს:

1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებისათვის (VIII-XI კლასელები) მიწის ნაკვეთების (ბაღის, ვენახის, ბოსტნის, მინდვრის და ა. შ.), მეცხოველეობის ფერმების ან კომპლექსების უბნების გაპიროვნება და მათზე მუშაობა მთელი წლის განმავლობაში, მოსწავლეთა კონტინგენტისა და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

2. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიერ სკოლისათვის გაპიროვნებულ ფართობსა და მეცხოველეობის ფერმებში მუშაობა წარიმართოს მოცემულ პირობებში ყველაზე უფრო ეფექტური მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების, სასკოლო სატყეოების, შრომისა და დასვენების ბანაკების გამოყენებით.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები ჩამოყალიბდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ბრიგადების სტრუქტურის მსგავსად. ამასთან, გათვალისწინებულ იქნას მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების დებულება.

სკოლისათვის საწარმოო ბაზის გაპიროვნებისას კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაითვალისწინონ სკოლასთან ახლო მდე-

ბარე და ვარგისი ნაკვეთების გამოყოფა, აგრეთვე სამუშაო იარაღების, სათესლე მასალის, სასუქების და სხვათა გამოყოფა იგივე პრინციპით, როგორც ეს მოზრდილთა საწარმოო ბრიგადებშია.

გაპიროვნებულ ნაკვეთზე, უბნებში მოსწავლეთა მუშაობა წარიმართოს მთელი წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მთლიანი ციკლის ჩატარებისათვის — ნიადაგის დამუშავებიდან მოსავლის აღებამდე — კოლმეურნეობის გამგეობასთან, საბჭოთა მეურნეობის დირექციასთან ერთად შედგენილი და სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. ბრიგადას საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო შრომის მასწავლებელმა და ადგილობრივი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტმა.

3. გაფართოვდეს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების შრომითი საქმიანობა, რათა მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ (განსაკუთრებით უფროსკლასელები) საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერ შრომაში; განვითარდეს საწარმოო ბრიგადებში ახალგაზრდობის თვითმმართველობა, რათა წახალისდეს შრომითი ინიციატივის გამოვლენა, მოსწავლეთა რაციონალიზატორული წინადადებები და ხელი შეეწყოს პრაქტიკაში მათს დანერგვას, ფართოდ განზოგადდეს და მოსწავლეთა ბრიგადების საქმიანობაში ფართო ადგილი დაეთმოს მოწინავე შრომითი ტრადიციების დანერგვას.

სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკთა გამოცდილების დანერგვამ უნდა გამოკვეთოს საწარმოო ბრიგადებში მოსწავლეთა შემოქმედებითი და აქტიური შრომითი საქმიანობა, მოსწავლეთა პროფესიული ინტერესები, მიდრეკილებები, ხელი შეუწყოს მოსწავლეებს პროფესიის სწორად არჩევაში.

მოსწავლეთა შრომითი საქმიანობა საწარმოო ბრიგადებში უნდა იქცეს თითოეული ახალგაზრდის პროფესიისადმი ორიენტაციისა და ადაპტაციის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმად.

სკოლებში შემოქმედებითად, შრომითი აღზრდის ინტერესების შესაბამისად გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომითი საქმიანობა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაპიროვნებულ ნაკვეთებზე სისტემატური შრომა ერთ-ერთი საუკეთესო და სასარგელო ფორმა უნდა გახდეს მოსწავლეთათვის შრომის პირობებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გასაცნობად, ასარჩევი პროფესიისათვის დამახასიათებელი შრომითი საქმიანობის ჩასატარებლად, პრაქტიკულ-შრომითი ჩვევების დასაუფლებლად, საკუთარი შესაძლებლობის პერსპექტივის მოსასინჯად და, საერთოდ, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების შესასწავლად, რათა სკოლის დამთავრების შემდეგ საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში დარწმუნებული მოსწავლე ახალგაზრდობა მეტი

ინიციატივითა და ხალისით მიდიოდეს სოფლის მეურნეობაში აქტიურ შრომითს საქმიანობაში ჩასაბმელად.

4. მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის სწორი ორგანიზაციისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ სკოლისა და წარმოების ხელმძღვანელებს.

5. სკოლასა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სკოლას გაუპიროვნდეს მიწის ნაკვეთები, მეცხოველეობის ფერმის ან კომპლექსის უბნები და განესაზღვროს პროდუქციის ჩაბარების გეგმა. სამუშაოთა სახეობების მიხედვით განისაზღვროს მოსწავლეთა მუშაობის ნორმები და დადგინდეს მათი შრომის ანაზღაურების პირობები, რაც შეტანილ იქნას ხელშეკრულებაში.

6. ამჟამად სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები ამზადებენ მოსწავლეებს, რომლებსაც შეუძლიათ იმუშაონ ტრაქტორზე, კომბაინზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე. მათ შესწავლილი აქვთ სოფლის მეურნეობაში მუშაობის პროცესში გამოსაყენებელი თეორიული და პრაქტიკული საკითხები აგროტექნიკასა და მეცხოველეობაში, ელექტროტექნიკაში, ავტოსაქმესა და სხვა დარგებში. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის IX-X კლასების მოსწავლეების მიერ ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და აგროტექნიკის საფუძვლების კურსის წარმატებით სწავლებისათვის მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული მათი სისტემატური მონაწილეობა საცდელი მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე მწარმოებლურ შრომაში.

7. სკოლებზე მოსავლელად გაპიროვნებული მიწის ფართობები, კულტურების სახეობა და მეცხოველეობის ფერმების ან კომპლექსების უბნების სიდიდე განისაზღვროს მოსწავლეთა და მოსავლელ კულტურათა რაოდენობის, ცხოველთა სახეობის, მექანიზაციისა და რელიეფური პირობების გათვალისწინებით.

8. ნაკვეთები და მეცხოველეობის ფერმების ან კომპლექსების უბნები სკოლებზე გაპიროვნდეს განსაზღვრული ვადით, სკოლები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ უზრუნველყოფილ იქნას სარწყავი სისტემით, საჭირო ინვენტარით, თესლით, სასუქებით და ა. შ.

9. ნაკვეთზე აღებული მოსავალი და მეცხოველეობის ფერმიდან ან კომპლექსიდან მიღებული პროდუქცია ჩაბარდეს კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას.

10. მოსწავლეებს შრომა აუნაზღაურდეს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით ამ მეურნეობაში მოზრდილთა შრომის ანაზღაურების სისტემის შესაბამისად. ამასთან, მხედველობაში იქნას მიღებული, რომ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის წევრების (X-XI კლასები) მიერ გამომუშავების ნორმები კოლმეურნეობაში და საბჭოთა მე-

ურნეობაში მომუშავეთა ნორმებთან შედარებით 25%-ით, ხოლო VII-VIII კლასების მოსწავლეებისათვის 40%-ით მცირდება (საათების გამოანგარიშების მიხედვით).

11. მოსწავლეების დაინტერესებისა და სტიმულირების სხვა ხერხებთან და მეთოდებთან ერთად გამოყენებულ იქნას შრომის ანაზღაურების სხვა ფორმები, გაიცეს მოსწავლეებზე გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით კუთვნილი თანხა, საჭიროების შემთხვევაში — პრემია. ის მოსწავლეები, რომლებიც მიმაგრებულ ნაკვეთებში, მეცხოველეობის ფერმების ან კომპლექსების უბნებში მუშაობისას გამოიჩენენ მაღალ დისციპლინას, ორგანიზებულობასა და კეთილსინდისიერად შეასრულებენ დავალებებს, წახალისდებიან კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სკოლის მიერ;

ა) სიტყვიერი მადლობის გამოცხადებით ხაზზე;

ბ) მადლობის გამოცხადებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სკოლის ხელმძღვანელების ბრძანებით;

გ) დაჯილდოვდებიან ქების სიგელით, ფასიანი საჩუქრებით და ა. შ.

12. მეცხოველეობის ფერმების ან კომპლექსების უბნებში მოსწავლეთა მუშაობის ხანგრძლივობას განსაზღვრავს სკოლა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად, ცხოველთა სახეების, ფერმებში, კომპლექტებში სამუშაოთა მექანიზაციისა და ცხოველთა შენახვის პირობების მხედველობაში მიღებით.

13. სკოლებზე გაპიროვნებულ ნაკვეთებსა და მეცხოველეობის ფერმების ან კომპლექსების უბნებში, სადაც მოსწავლეთა ბრიგადები მუშაობენ, მოეწყოს საცდელი სამუშაოები და იგი მჭიდროდ დაუკავშირდეს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ანალოგიურ და პრაქტიკაში დანერგილ სამუშაოებს.

14. გაპიროვნებულ ნაკვეთებზე და მეცხოველეობის ფერმებში ან კომპლექსების უბნებში მუშაობისას ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება, რემონტი, აგრეთვე სათადარიგო ნაწილებით, საწვავითა და საპოხი მასალებით მომარაგება ევალება იმ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, რომელთა ბაზაზეც ხორციელდება მოსწავლეთა მწარმოებლური შრომა.

15. გაპიროვნებულ ნაკვეთში და მეცხოველეობის ფერმებში ან კომპლექსებში გამოყოფილ უბნებში მუშაობისას სასწავლო თვალსაზრისით, პირველ რიგში, გამოყენებულ იქნას სკოლის კუთვნილებაში არსებული ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები. თუ სკოლას ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები არ გააჩნია, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა უზრუნველყოფს მოსწავლეებს მიმაგრებულ ნაკვეთებზე და მეცხოველეობის ფერმებში, კომპლექსებში მუშაო-

ბისათვის ყველა საჭირო ტექნიკით და სპეციალისტებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის წესების დაცვასა და ბავშვთა ტრავმატიზმის თავიდან აცილების ღონისძიებებს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ხელშეკრულებაში.

16. ზაფხულის პერიოდში სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და სატყეო მეურნეობებში, აგრეთვე წლის განმავლობაში მეცხოველეობის ფერმებში ან კომპლექსებში მომუშავე მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელობისათვის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებას განსაზღვრავენ სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის საწარმოთა ხელმძღვანელები ამ საწარმოთა სახსრების ხარჯზე მე-3 თანრიგის განთავისუფლებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბრიგადირის (ტრქატორისტ-მემანქანეთა განაკვეთის 1-ლი ჯგუფის) სატარიფო განაკვეთის 30-75 პროცენტის ოდენობით, ხოლო სატყეო მეურნეობაში — მეტყევის თანაშემწის თანამდებობრივი განაკვეთის 30-75 პროცენტის ოდენობით, საწარმოო ბრიგადაში მოსწავლეთა რაოდენობისა და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით.

მოსწავლეთა ბრიგადების ხელმძღვანელობისათვის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება ხდება საწარმოს ხელფასის ფონდიდან იმ ხელფასზე დამატებით, რომელიც მათ სკოლაში ენახებათ.

შრომითი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება შეიძლება დაწესდეს შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობიდან და მოსწავლეთა ბრიგადის წევრთა საშუალო რაოდენობიდან გამომდინარე შემდეგი ოდენობით:

ბრიგადის წევრთა საშუალო რაოდენობა (კაცი) სამუშაოთა გეგმიური მოცულობის თვალსაზრისით	ანაზღაურების ოდენობა პროცენტებში ბრიგადირის სატარიფო განაკვეთიდან (მეტყევის თანაშემწის ხელფასიდან) გამომდინარე
25-მდე	30—40-მდე
25—50-მდე	40—55-მდე
50-ზე ზევით	55—65-მდე

სამუშაოთა გეგმების დროული და ხარისხიანი შესრულებისათვის მოსწავლეთა ბრიგადის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურების აღნიშნული ოდენობა შეიძლება გაიზარდოს შემდეგნაირად: თუ ბრიგადაში 25 კაცამდეა — განაკვეთის (ხელფასის) 45%-მდე, 25-50 კაცის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევაში — 60%-მდე, ხოლო 50 კაცზე ზევით—ბრიგადის სატარიფო განაკვეთის (მეტყევის თანაშემწის ხელფასის) 75%-მდე.*

---

* სსრკ მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრკ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრკ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და სსრკ განათლების სამინისტროს მიერ 1971 წლის 18 აგვისტოს დამტკიცებული № 59-მ ინსტრუქციიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო
წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა და
საქართველოს სსრ განათლების სამინის-
ტროს კოლეგიის 1984 წლის 20 ივლი-
სის № 1242/530 ბრძანების დანართი 2

სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი სკოლებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყოფის შესახებ

IV-VI კლასებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების მეცადინეობის ჩასატარებელი მოწყობილობის სანიმუშო ნუსხა

1. საკიდი გუთანი
2. ნიადაგის დასამუშავებელი კულტივატორი
3. ფარცხები
4. დისკოებიანი საოშავი
5. სათესი

სასოფლო-სამეურნეო მანქანების დეტალების საამწყობო ერთეულები და მექანიზმები

1. გუთნის ტანი
2. საკიდი გუთნის საყრდენი თვალი მოხვნის სიღრმის რეგულირების მექანიზმებით
3. სახნისი, გუთნის ფრთა, დისკოიანი დანები, წინსახნისი
4. კულტივატორის მუშა ორგანოები.
5. კულტივატორის სამუშაო ორგანოების სექცია
6. საოშავის დისკოს ფარცხის კბილები
7. ასაკრები ერთეულები და სათესი დეტალები

VII-VIII კლასებში ტრაქტორის სწავლებისათვის საჭირო მოწყობილობის სანიმუშო ნუსხა

1. გამართული თვლიანი ტრაქტორი მტზ — 50 ან მტზ — 80
2. თვლიანი ტრაქტორი მტზ — 50 ან მტზ — 80 (მოსწავლეთა მიერ ტრაქტორის დემონტაჟისა და სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად).

თვლიანი ტრაქტორის დეტალები, აგრეგატები, ხელსაწყოები და საამწყობო ერთეულები

1. ძრავა დ-50 ან დ-240 (დაშლისა და აწყობისათვის) გადაბმულობასთან ნაკრებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. თვლიანი ტრაქტორის უკანა ხიდი
3. მტზ-52 ან მტზ-84 ტრაქტორის წინა ხიდი
4. ტრაქტორი მტზ-52 ან მტზ-82-ის გადაცემათა კოლოფი
5. მრუდხარა-ბარბაცა მექანიზმის დეტალები
6. განმანაწილებელი და სადეკომპრესიო მექანიზმების დეტალები
7. უხეში და წმინდად მწმენდი საწვავის ფილტრები
8. მიმტუმბი ტუმბო
9. საწვავის ტუმბოები
10. დიზელის მფრქვევანები
11. კარბიურატორები
12. ზეთისა და წყლის რადიატორები
13. წყლის ტუმბო ვენტილატორით
14. დიზელის გამშვები სისტემის ტრანსმისია
15. ტრაქტორის კარდანული გადაცემა
16. რელე-რეგულატორი
17. მაგნეტო
18. ფარები
19. ხმოვანი სიგნალი
20. კომპრესორი
21. საჭის მექანიზმის ჰიდროგამაძლიერებელი
22. წინა თვალი საბურავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო
წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა და
საქართველოს სსრ განათლების სამინის-
ტროს კოლეგიის 1984 წლის 20 ივლისის
№ 1242/530 ბრძანების დანართი 3

ნუსხა

ექსპლოატაციაში ნამყოფი, მაგრამ სასწავლო მიზნებისათვის ვარგისი აგრეგატების, იარაღების, მანქანების, ხელსაწყოებისა და კვანძებისა, რომლებიც უნდა გადაეცეს სასწავლო კაბინეტების აღჭურვისათვის სოფლის იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სადაც უფროსკლასელთა ავტოსაქმის, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე მუშაობის სწავლებაა შემოღებული (ამონაწერი სოფლის სკოლებისათვის სასწავლო მოწყობილობის საერთო ნუსხიდან, რომელიც შემუშავებულია სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ და დამტკიცებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1974 წლის 4 სექტემბერს)

№	დასახელება	ტიპი მარკა	რაოდენობა სკოლებზე ცალობით
1	2	3	4
	ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესწავლის კაბინეტებისათვის		
1.	ძრავები	—	1-2
2.	მაღალი წნევის საწვავის ტუმბოები	—	2
3.	საწვავის ფილტრები	—	2
4.	ზეთის ტუმბოები	—	2
5.	ზეთის ცენტროფუგები	—	2
6.	გადაცემათა კოლოფები	—	1
7.	გადაბმულობის ქუროები	—	1
8.	დიფერენციელები	—	1
9.	მოხვევის მექანიზმი	—	2
10.	გენერატორები		2
11.	სტარტერები		2
12.	აკუმულატორის ბატარეა		2
13.	ფრქვევანები		8
14.	რელე-გენერატორები		2

1	2	3	4
15.	კიდული გუთნები		1
16.	კიდული კულტივატორები		1
17.	კიდული სათესელები		1
18.	თვითმავალი კომბაინის ცალკეული კვანძები და მექანიზმები		1
19.	საწველი აპარატები 3 ტაქტიანი		2
20.	საწველი აპარატები 2 ტაქტიანი		2
21.	თვითმავალი მარცვალსაღები კომბაინები, ტრაქტორებისა და კომბაინების მრუდხარა		1
22.	ბარბაცა და გამანაწილებელი მექანიზმები		2
23.	ელექტრული ძრავები		4
24.	ვაკუმ-ტუმბო		1
25.	წყლის ცენტრიდანული ტუმბო		2
26.	დასატვირთი ჩანგლები	ლე-2 ან ნვ-3	1
27.	ტახომეტრები	30	1
28.	ხელსაწყოები ელექტროლიტის სიმკვრივის განსაზღვრისათვის	გოსტ 985 66	1
29.	მიკრომეტრები	0-25	1
30.	კომპრესიომეტრები	მ-149 ან კი-861	1
31.	სალტის მანომეტრები	მდ-2—5	1
32.	პარალელური გირაგები	გოსტ—4045-57	1
33.	იარაღების ნაკრები	პიმ—1514	6
34.	შტანგენფარგლები	0-200-შპ-შ	1
35.	კუთხვილმზომი	მანდ	2
36.	ცეცები № 3, № 5	გოსტ 882-66	2
37.	ლითონის სახაზავები 500 მმ.	გოსტ 427-56	1
38.	ინდიკატორები	50-100, 100-160	2
	II. ავტოსაქმის კაბინეტებისათვის		
1.	ავტომობილის ძრავები	გაზ, ზილ	1-2
2.	წინა ხიდები საჭირო მექანიზმით	გაზ	1
3.	წინა წამყვანი ხიდები	გაზ	1
4.	უკანა ხიდები	გაზ	1
5.	უკანა ხიდები	ზილ	1
6.	სიჩქარის გადამცემი კოლოფი	გაზ	1

7.	კარდანული გადაცემები	გაზ	1
8.	მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმების დეტალები	გაზ გაზ	1
9.	კვების სისტემის ხელსაწყოები	გაზ	1
10.	კარბიურატორები	გაზ	1
11.	გაგრილების სისტემის ხელსაწყოები		1
12.	შეზეთვის სისტემის ხელსაწყოები და დეტალები	გაზ	1
13.	ელექტრომოწყობილობისა და ანთების ხელსაწყოები	გაზ გაზ	1
14.	ხელსაწყოთა ფარები		1
15.	ჰიდრავლიკურამძრავიანი მუხრუჭების სისტემის ხელსაწყოები და დეტალები	გაზ	1
16.	პნევმატურამძრავი მუხურჭების სისტემის ხელსაწყოები და დეტალები	ზილ გაზ	1
17.	აწყობილი სალტეები	გაზ	1
18.	სავალი ნაწილისა და საკიდის დეტალები	—	1
19.	კომპრესიომეტრები		1
20.	ცეცები (სანთელში ლრეჩოების შესამოწმებლად)	— —	1
21.	ლუმფტმზომები		1
22.	გადაბმულობისა და სამუხრუჭო სისტემების თავისუფალი სვლის გასაზომი სახაზავი		1
23.	თვლების შეყრის შესამოწმებელი სახაზავი		1

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 20 ივლისის ბრძანება № 534

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 ივნისის № 364 დადგენილებას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილების შესასრულებლად.

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 364
1984 წლის 4 ივნისი
ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების შესახებ"

„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების შესახებ".

2. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა გამოყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაცხადების მიხედვით ინტერნატულ დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებისათვის თესლი, სასუქები, შინაური ფრინველი, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ინვენტარი.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით წარმოადგინოს წინადადებანი სკოლა-ინტერნატებში კოლმეურნეთა ბავშვების მოვლა-პატრონობის საფასურის ოდენობისა და გადახდევინების წესის შესახებ.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან ერთად განსაზღვროს მოცულობა და ასორტიმენტი შეკერილი ნაწარმისა, რომლის შე-

კერვა გათვალისწინებულია სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში აღსაზრდელთა ძალებით მზა ნაწარმის ნაცვლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსათვის გამოყოფილი ქსოვილების ხარჯზე და ერთი თვის ვადაში წარუდგინოს წინადადებანი ამ საკითხზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს იმ ვარაუდით, რომ მოყოლებული 1985 წლიდან, გაითვალისწინოს ეს დავალებანი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— გაითვალისწინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსათვის საავტომობილო ტრანსპორტის, საწარმოო მოწყობილობის, ავეჯის, რბილი და სხვა ინვენტარის ფონდების გამოყოფა ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელთათვის;

— საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების თხოვნით გაითვალისწინოს ბამბისა და სხვა ქსოვილების, ტყავისა და სხვა მასალების გამოყოფა შრომითი აღზრდის მეცადინეობებზე გამოსაყენებლად;

— გამოუყოს, მოყოლებული 1985 წლიდან, სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული ორგანიზაციებისათვის გათვალისწინებული ფონდები უშუალოდ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს იმ ვარაუდით, რომ აღნიშნული ქსოვილებისაგან შეკერილი ნაწარმის შესაკერად შეკვეთები განაწილდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში.

6. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ წარმოადგინონ წინადადებანი სოფლად განლაგებული საბავშვო სახლების სამრეწველო საქონლით ცენტრალიზებული მომარაგების წესის განსაზღვრის საკითხზე.

7. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყონ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს განაცხადების მიხედვით ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელთათვის იაფი, მაგრამ სატარებლად გამძლე მასალების თანამედროვე ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოშვება, აღნიშნულ დაწესებულებათა სასწავლო და საცხოვრებელი სადგომებისათვის იაფი და მოხერხებული ავეჯის წარმოება.

8. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გააუმჯობესოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მომარაგება საჭირო ასორტიმენტის თანამედროვე ტანსაცმლით, ფეხსაცმლითა და რბილი ინვენ-

ტარით, რაც გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებული ორგანიზაციების ფონდების მიხედვით.

9. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების შეუფერხებელი მომარაგება კვების პროდუქტებით დაწესებული ნორმების შესაბამისად.

10. მიღებულ იქნას ცნობად, რომ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილებით შეტანილია ცვლილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს თავმჯდომარე
დ. ქართველიშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს საქმეთა მმართველი
ზ. ახვლედიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარების მიზნით ვბრძანებ:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 ივნისის № 364 დადგენილებების შესრულების მიმდინარეობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის მიზნით დამტკიცდეს კომისია, რომელსაც დაევალოს მოისმინოს ადგილებიდან ინფორმაციები დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და შედეგების მიხედვით გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

— მიიღონ აღნიშნული დადგენილებები სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად; განიხილონ ისინი კოლეგიებისა და საბჭოს სხდომებზე;

— შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები, დასახონ მათი განხორციელების გზები.

3. ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. ჰ. თუთბერიძე).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О дальнейшем улучшении работы общеобразовательных школ-интернатов, детских домов и других интернатных учреждений

20 июля 1984 года. № 534

Объявляю постановление Совета Министров ГССР от 4 июня 1984 года № 364 «Об общеобразовательных школах-интернатах, детских домах и других интернатных учреждениях» во исполнение постановления Совета Министров СССР от 5 января 1984 года № 25.

СОВЕТ МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР ПОСТАНОВЛЕНИЕ № 364

от 4 июня 1984 года
гор. Тбилиси

«Об общеобразовательных школах-интернатах, детских домах и других интернатных учреждениях»

Во исполнение постановления Совета Министров СССР от 5 января 1984 года № 25 «Об общеобразовательных школах-интернатах, детских домах и других интернатных учреждениях» Совет Министров Грузинской ССР постановляет:

1. Принять для руководства и исполнения постановление Совета Министров СССР от 5 января 1984 года № 25 «Об общеобразовательных школах-интернатах, детских домах и других интернатных учреждениях».

2. Госкомитету сельскохозяйственного производства Грузинской ССР выделить Министерству просвещения Грузинской ССР по заявкам для подсобных хозяйств интернатных учреждений зерно, удобрения, домашнюю птицу, продуктивный и рабочий скот, сельскохозяйственные машины и инвентарь.

3. Министерству финансов Грузинской ССР по согласованию

с Министерством финансов СССР представить предложения о размерах стоимости ухода за детьми колхозников в школах-интернатах и порядке оплаты.

4. Министерству просвещения Грузинской ССР совместно с Министерством местной промышленности Грузинской ССР определить объем и ассортимент шитых изделий, пошив которых предусмотрен силами воспитанников школ-интернатов и детских домов взамен готовой продукции за счет выделенных для Министерства просвещения Грузинской ССР и в месячный срок представить предложения в Госплан Грузинской ССР по этому вопросу с тем расчетом, чтобы с 1985 года предусмотреть эти задания в Государственном плане экономического и социального развития Грузинской ССР.

5. Государственному плановому комитету Грузинской ССР:

— предусмотреть выделение для воспитанников интернатных учреждений Министерства просвещения Грузинской ССР фондов автотранспорта, производственного оборудования, мебели, мягкого и другого инвентаря:

— в необходимых случаях совместно с Министерством просвещения Грузинской ССР по просьбе школ-интернатов и детских домов предусмотреть выделение хлопчатобумажных и других тканей, кожанных и других материалов для использования на занятиях по трудовому воспитанию:

—выделить с 1985 года непосредственно министерствам и ведомствам республики фонды, предусмотренные для находящихся на государственном бюджете организаций с тем расчетом, чтобы заказы на пошив изделий из указанных тканей распределялись предприятиям Министерства местной промышленности Грузинской ССР.

6. Госснабу Грузинской ССР, Министерству торговли Грузинской ССР, Правлению «Цекавшири» и Министерству просвещения Грузинской ССР представить предложения по вопросу определения снабжения детских домов, расположенных в сельских местностях, промтоварами в централизованном порядке.

7. Министерству легкой промышленности, Министерству лесной и деревообрабатывающей промышленности и Министерству местной промышленности Грузинской ССР обеспечить по заявкам Министерства торговли Грузинской ССР для воспитанников интернатных учреждений выпуск дешевой, но прочной одеж-

ды и обуви, производство дешевой и удобной мебели для учебных и жилых помещений указанных учреждений.

8. Министерству торговли Грузинской ССР улучшить снабжение школ-интернатов и детских домов необходимым ассортиментом современной одежды, обуви, мягким инвентарем, что подлежит выделению из фондов, находящихся на государственном бюджете организаций.

9. Министерству торговли, Министерству плодоовощного хозяйства, Министерству автомобильного транспорта Грузинской ССР и Правлению Цекавшири обеспечить беспрепятственное снабжание школ-интернатов и детских домов продуктами питания в соответствии с установленными нормами.

10. Принять к сведению, что постановлением Совета Министров СССР от 5 января 1984 года № 25 «Об общеобразовательных школах-интернатах, детских домах и других интернатных учреждениях» внесены изменения.

Председатель Совета Министров
Грузинской ССР

Д. КАРТВЕЛИШВИЛИ

Управляющий Делами
Совета Министров Грузинской ССР

З. АХВЛЕДИАНИ

С целью претворения в жизнь вышеотмеченного постановления приказываю:

1. Утвердить комиссию по руководству и контролю за ходом выполнения постановлений Совета Министров СССР от 5 января 1984 года № 25 и Совета Министров ГССР от 4 июня 1984 года № 364, поручив ей заслушивать с мест информации о ходе выполнения постановлений и проводить по итогам соответствующие мероприятия.

2. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования г. Тбилиси:

— принять отмеченные постановления для руководства и исполнения, рассмотреть их на заседаниях коллегий и советов народного образования;

— разработать конкретные мероприятия, наметить пути их совершенствования.

3. Контроль за ходом настоящего приказа поручить Управлению школ-интернатов и детских домов Минпроса ГССР (тов. Г. Тутберидзе).

Основание: решение коллегии Министерства просвещения ГССР от 19 июля 1984 года.

Министр О. Кинкладзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 25 ივლისის ბრძანება № 540

1-ლი სექტემბრის — საერთო-სახალხო დღესასწაულის — ცოდნის დღის აღნიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 15 ივნისის ბრძანებულებით დაწესდა საერთო-სახალხო დღესასწაული — ცოდნის დღე — 1 სექტემბერი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება დაიყვანონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებამდე და უზრუნველყონ მისი განუხრელი შესრულება.

2. დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) მოამზადოს მეთოდური რეკომენდაციები ცოდნის დღის საზეიმოდ აღნიშვნასთან დაკავშირებით და უზრუნველყოს მისი დროული დაგზავნა ადგილებზე.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა პედაგოგიურმა კოლექტივებმა ცოდნის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზაციაში იხელმძღვანელონ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური რეკომენდაციებით და უზრუნველყონ მისი ჩატარება მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 7 აგვისტოს ბრძანება № 557

მახარაძის, ლანჩხუთის რაიონებისა და ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების მუშაობის შესახებ

მახარაძის, ლანჩხუთის რაიონებისა და ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის სკოლა-ინტერნატებში უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, გარკვეული მუშაობაა ჩატარებული სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, შეფი ორგანიზაციები გარკვეულ დახმარებას უწევენ აღნიშნულ სკოლა-ინტერნატებს. მხოლოდ 1983 წელს მახარაძის რაიონის სკოლა-ინტერნატს შეფი ორგანიზაციების ძალებით ჩაუტარდა 59.700 მანეთის სარემონტო სამუშაოები, სასწავლო კაბინეტებისათვის შეძენილ იქნა 23.730 მანეთის მაგარი ინვენტარი და სწავლების ტექნიკური საშუალებანი.

ამასთან, აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების მუშაობაში ჯერ კიდევ გვხვდება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები. ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონების სკოლა-ინტერნატების საძინებლების მატერიალური ბაზა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს სოფელ კიცხის სკოლა-ინტერნატის სასწავლო და საძინებელი კორპუსი.

ნაკლოვანებებია სპეციალისტი კადრებით დაკომპლექტების საქმეში. შემოწმებულ სკოლა-ინტერნატებში 20 აღმზრდელს და მასწავლებელს არა აქვს უმაღლესი განათლება, 21 მუშაკს 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ გაუვლია კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. სოფელ კიცხის სკოლა-ინტერნატში სამი აღმზრდელი განათლებით აგრონომია.

რიგი პედაგოგების კვალიფიკაციის დონე ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს. ამის შედეგია ის, რომ ლანჩხუთის რაიონის რვაწლიან სკოლა-ინტერნატში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა მეტად დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს საბჭოთა კავშირის ისტორიაში (მასწავლებელი თ. ჩხარტიშვილი).

ნაკლოვანებებია სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. ხშირად სააღმზრდელო ჟურნალში შეტანილი საკითხები არ ემთხვევა სემესტრულ სააღმზრდელო გეგმებში გათვალისწინებულ საკითხებს. რიგ შემთხვევებში აღსაზრდელებზე არ აწარმოებენ პედაგოგიურ დაკვირ-

ვებას, სისტემატურად არ გადააქავთ საკლასო ჟურნალებში მიმდინარე აკადემიური შეფასებები (აღმზრდელები: ა. დევდარიანი, გ. ოქრომჭედლიძე, მ. სამხარაძე, ა. არეშიძე — კიცხის სკოლა-ინტერნატი, თ. ჭანიშვილი, დ. მამალაძე — მახარაძის სკოლა-ინტერნატი).

ლანჩხუთის რაიონის სკოლა-ინტერნატის უფროსი აღმზრდელი ლ. ურუშაძე არ ადგენს კვირეულ სამუშაო გეგმებს, არ აქვს მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვა და ანალიზები, არა აქვს, აგრეთვე, აღრიცხული ჩატარებული ღონისძიებები. არასათანადო კონტროლის გამო სასწავლო წლის ბოლოსათვის II, V, VII საალმზრდელო ჯგუფების ჟურნალებში საერთოდ არ არის შეტანილი პედაგოგიური დაკვირვებები, არ არის გადატანილი მიმდინარე შეფასებები.

შემოწმებით დადგინდა, რომ აღნიშნულ სკოლა-ინტერნატებში სათანადო მუშაობა არ წარმოებს მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის შემდგომი ამაღლებისათვის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 10 თებერვლის №2-2 გადაწყვეტილების განხორციელების მიზნით. მხოლოდ ლანჩხუთის რაიონის სკოლა-ინტერნატში მიმდინარე სასწავლო წელს არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 4.060 გაკვეთილი, რაც საშუალოდ ერთ მოსწავლეზე 22 გაკვეთილს შეადგენს.

ანალოგიური მდგომარეობაა მახარაძის რაიონის სკოლა-ინტერნატში, სადაც არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 1.110 გაკვეთილი, ხოლო სოფელ კიცხის საშუალო სკოლა-ინტერნატში, მხოლოდ X კლასში არასაპატიოდ გაცდენილია 851 გაკვეთილი.

შემოწმებულ სკოლა-ინტერნატებში სათანადო ყურადღება არ ექცევა სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობას მოსწავლეებს შორის, არ ტარდება ლექციები დაავადებების პროფილაქტიკისა და ჰიგიენის საკითხებზე. პედსაბჭოს სხდომაზე უგულებელყოფილია სამედიცინო შემოწმების მასალების მოსმენისა და ანალიზის პრაქტიკა.

ლანჩხუთის რაიონის სკოლა-ინტერნატში მთელი წლის განმავლობაში არ მუშაობს აბანო, რის გამოც ვერ ხერხდება ჰიგიენური ნორმების დაცვა. უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას სკოლა-ინტერნატის ექიმი მ. გოგუაძე.

შემოწმებულ ინტერნატებში ჩატარებული ღრმა სამედიცინო შემოწმების შედეგად გამოვლენილია ისეთი დაავადების მქონე მოსწავლეები, რომელთა ადგილობრივ პირობებში მკურნალობა ვერ მოგვცემს სათანადო ეფექტს. ამასთან, არის ისეთი დაავადებები (ბრონქიალური ასთმა, მხედველობის დაქვეითება, სკოლიოზი, ოლიგოფრენია და სხვა), რომელთა პროფილის სპეციალური და სანიტარიული სკოლა-ინტერნატები ფუნქციონირებს რესპუბლიკაში, სადაც წარმატებით მიმდინარეობს აღსაზრდელთა სწავლა-აღზრდა, მკურნალობა და ფიზიკური თუ გონებრივი ნაკლის კორექცია. სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელები სამედიცინო სამსახურთან ერთად ვალდებულნი იყვნენ აღნიშნული დაავადების მქონე ბავშვები სასწავლებლად გადაეყვანათ შესაბამის სპე-

ციალურ და სანატორიულ სკოლა-ინტერნატებში, რაც არ გაუკეთებია.

არასათანადო მომარაგების გამო სკოლა-ინტერნატების ბიბლიოთეკები ღარიბია წიგნადი ფონდით, განსაკუთრებით არასაკმარისად მარაგდებიან მხატვრული ლიტერატურით. გასულ წელს მახარაძის სკოლა-ინტერნატმა მიიღო 29 დასახელების მხატვრული ლიტერატურა, მათ შორის ქართულია მხოლოდ 8. სკოლა-ინტერნატი ვერ ღებულობს ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკას, როგორც კლასიკოს, ისე თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებებს.

ანალოგიური მდგომარეობაა ლანჩხუთის რაიონისა და სოფელ კიცხის სკოლა-ინტერნატებში.

ხარვეზებს აქვს ადგილი კვების პროდუქტებით მომარაგებისა და აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის საქმეში. 1983 წლის განმავლობაში სოფელ კიცხის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს საერთოდ არ მიუღიათ რძე და რძის ნაწარმი, ბოსტნეული მიიღეს კუთვნილი ნორმის 50 პროცენტი. მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების სკოლა-ინტერნატებს არ მიუღიათ ხაჭო, არაჟანი, დააკლდათ 4.394 ცალი კვერცხი, 972 ლიტრი რძე, კუთვნილი ნორმის 63 პროცენტი ფქვილი, 54 პროცენტი ბოსტნეული, კარტოფილი 65 პროცენტი, თევზი 47 პროცენტი და სხვა, რის გამოც ვერ ითვისებენ კვების თანხას. სოფელ კიცხის სკოლა-ინტერნატში 1983 წელს აუთვისებელია კვების თანხა 11. 131 მანეთი, ლანჩხუთის რაიონის სკოლა-ინტერნატში კი 10.713 მანეთი.

აღნიშნული სკოლა-ინტერნატების საწყობებში არასაკმარისია სტელაჟები, დასამუშავებელი დაფების ნაწილი არაა მარკირებული. ხელსაბანში არასაკმარისია ჩანები, შესაცვლელია ონკანები (კიცხი, მახარაძე).

ლანჩხუთის, მახარაძის რაიონებისა და სოფელ კიცხის სკოლა-ინტერნატებში არასათანადო კონტროლის გამო ირღვევა პროდუქტების აღრიცხვის არსებული წესები. შემოწმებით ადგილი ჰქონდა რიგი პროდუქტების მეტ-ნაკლებობის ფაქტებს.

ნაკლოვანებებია ჩამოთვლილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების დამხმარე მეურნეობების მუშაობაში. 1983 წლის გეგმა-ვალდებულებები შესრულებულია მხოლოდ 50-60 პროცენტით.

აღნიშნული იმის შედეგია, რომ სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არ ასრულებენ საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ინტერნატული დაწესებულებებისათვის დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ, ხოლო სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და ინტერნატული დაწესებულებების ხელმძღვანელები ვერ იჩენენ ამ მიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებით სათანადო პრინციპულობასა და მომთხოვნელობას. ამით უნდა-
აიხსნას ის ფაქტი, რომ 1982 წელს მახარაძის საქალაქო საბჭოს აღმას-
კომმა სკოლა-ინტერნატს მასზე გაპიროვნებული 8,7 ჰექტარი მიწის
ნაკვეთიდან ჩამოაჭრა 7,2 ჰექტარი, ხოლო სოფელ კიცხისა და ლან-
ჩხუთის რაიონის სკოლა-ინტერნატებმა დღემდე ვერ მიაღწიეს დამხმა-
რე მეურნეობების გაფართოების მიზნით დამატებითი მიწის ნაკვეთე-
ბის გამოყოფას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამ-
ხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაი-
ონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო
განათლების სამმართველომ:

1. 1. გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლა-ინტერ-
ნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მატერიალურ-
ტექნიკური ბაზის სრულყოფის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრე-
ბო პირობებისა და კულტურულ-სამეურნეო მომსახურების მდგომარე-
ობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;

1. 2. დააკომპლექტონ ინტერნატული დაწესებულებები მაღალკვა-
ლიფიციური, სათანადო გამოცდილების მქონე პედაგოგიური კადრები-
თა და მომსახურე პერსონალით, თანმიმდევრულად იზრუნონ მათი კვა-
ლიფიკაციის ამაღლებისათვის;

1. 3. საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების დადგენი-
ლების შესაბამისად იზრუნონ ინტერნატულ დაწესებულებებთან არ-
სებული დამხმარე მეურნეობების მუშაობის შემდგომი სრულყოფისა-
თვის, საჭიროების შემთხვევაში, დააყენონ საკითხი შესაბამისი ორგა-
ნოების წინაშე ინტერნატულ დაწესებულებებზე გაპიროვნებული
მიწის ნაკვეთების გაზრდისა და აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო
ტექნიკით უზრუნველყოფის შესახებ, აღნიშნული მეურნეობების რენტა-
ბელობის გაზრდის მიზნით;

1. 4. შესაბამის ორგანოებთან ერთად იზრუნონ მოსწავლეთა სა-
ზოგადოებრივი კვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, შექმნან სა-
თანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, მიაღწიონ აღსაზრდელთა
სამედიცინო მომსახურების მაღალ დონეს, ეფექტურად გამოიყენონ ინ-
ტერნატული დაწესებულებებისათვის ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნე-
ბანი:

1. 5. აამაღლონ მომთხოვნელობა და პირადი პასუხისმგებლობა
სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებისადმი,
აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობებისა და სასწავლო-აღმზრდე-
ლობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

შეურიგებლობის ატმოსფერო შექმნან იმ მუშაკების გარშემო, რომ-ლებიც ვერ უზრუნველყოფენ სკოლა-ინტერნატების ნორმალურ მუშაობას.

2. ინტერნატული დაწესებულებების დირექტორებმა:

2. 1. უზრუნველყონ ინტერნატული დაწესებულებები კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გასაუმჯობესებელად, აამაღლონ პედაგოგ-აღმზრდელთა პერსონალური პასუხისმგებლობა, მოაწესრიგონ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა, გამუდმებით იზრუნონ აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო და სამედიცინო-კულტურული მომსახურების დონის ამაღლებაზე, მტკიცედ დაიცვან სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები;

2. 2. შემოქმედებითად მიუდგნენ სწავლებისა და აღზრდის საქმეს, გამოიყენონ სწავლების თანამედროვე მეთოდები, ტექნიკური საშუალებები, ურთიერთდასწრების პრაქტიკა, ინდივიდუალურად მიუდგნენ თითოეულ აღსაზრდელს;

2. 3. მკაცრი კონტროლი დააწესონ აღსაზრდელთა მიერ გაკვეთილების არასაპატიოდ გაცდენებზე, თითოეული ფაქტი გახადონ პრინციპული მსჯელობის საგანი. იზრუნონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 10 თებერვლის № 2-2 გადაწყვეტილების განუხრელ შესრულებაზე;

2. 4. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა შრომით აღზრდას, მათში შრომისადმი სიყვარულისა და შრომითი ჩვევების გამომუშავებას, გაუღვივონ მათ პროფესიული ინტერესი, დაუკავშირონ აღსაზრდელთა შრომითი სწავლება მწარმოებლურ შრომას; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შრომითი სწავლების პროფილების სწორ განსაზღვრას, მიუსადაგონ იგი რეგიონში არსებულ მსხვილ საწარმოთა პროფილებს;

2. 5. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი), სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ჰ. თუთბერიძე) განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად განიხილონ თითოეული სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო სახლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის საკითხი და მიიღონ ზომები აღნიშნული სასწავლო დაწესებულებების აღსაზრდელთა დადგენილი ნორმების შესაბამისად რბილი და მაგარი ინვენტარით უზრუნველსაყოფად;

2. 6. გააძლიერონ კონტროლი ინტერნატულ დაწესებულებებში არსებული ინვენტარის აღრიცხვასა და დაცვაზე, გამოუმუშაონ აღსაზრდელებს ინვენტარისა და პირადი მოხმარების ნივთებისადმი სათუთი დამოკიდებულების ჩვევები.

3. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) გააძლიეროს ყურადღება და კონტროლი სკოლა-ინტერნატების და საბავშვო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლების სახელმძღვანელოებით, მეთოდური და განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურით უზრუნველყოფაზე, იზრუნოს ინტერნატული ტიპის დაწესებულებათა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შემდგომ გამდიდრებაზე, ლიტერატურის განაწილების დროს გაითვალისწინოს სწავლების ენა, სრულყოს სასწავლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შევსება-დაცვის ორგანიზაცია.

4. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები სპეციალისტი კადრებით, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ინტერნატული დაწესებულებების პედაგოგიური კადრების მიზნობრივი გადამზადების საკითხს.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ჰ. თუთბერიძე):

5. 1. გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი საერთო ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების მუშაობაზე, უზრუნველყოს მათ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა, იზრუნოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, კვების, სანიტარიულ-ჰიგიენური, კულტურული, სამედიცინო მომსახურებისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის;

5. 2. უზრუნველყოს ინტერნატული დაწესებულებებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ზემდგომი ორგანოების სადირექტივო მითითებების განუხრელი შესრულება. ამ მიმართებით გამოვლინებული ყოველგვარი გადახრა აქციოს პრინციპული მსჯელობის საგნად;

5. 3. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ სრულყოფას. მკვეთრად გააუმჯობესოს ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ფართოდ დანერგოს სისტემაში მწარმოებლური შრომა, იზრუნოს არსებული დამხმარე მეურნეობების შემდგომი გაძლიერება-სრულყოფისათვის.

6. ეცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომ ადგილებზე ჯერ კიდევ ყველგან არ სრულდება საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების მოთხოვნები ინტერნატულ დაწესებულებებში დამხმარე მეურნეობების შემდგომი სრულყოფა-გაფართოების მიზნით მათთვის დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ.

7. გაზეთმა „სახალხო განათლება" (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრება" (ამხ. რ. ძერია) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები საერთო ტიპის სკოლა-ინტერნატების მუშაობისა და მოწინავე პედაგოგ-აღმზრდელთა გამოცდილების შესახებ.

8. მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის მახარაძის რაიონისა და ორჯოკიძის რაიონის სოფელ კიცხის სკოლა-ინტერნატების დირექტორებს ამხ. ამხ. ც. მეგრელიძეს და ა. ჩხიკვაძეს მიეცეთ შენიშვნა.

9. ცნობად იქნას მიღებული, რომ ლანჩხუთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ განიხილა ლანჩხუთის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის შემოწმების შედეგები და სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. მ. ჩიტიძეს საყვედური გამოუცხადა. საყვედური გამოეცხადათ აგრეთვე, სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეებს სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ამხ. ამხ. გეწაძეს და ლ. ურუშაძეს.

10. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. ჰ. თუთბერიძე).

მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 7 აგვისტოს გ რ ძ ა ნ ე ბ ა № 558

რესპუბლიკის ინტერნატულ დაწესებულებათა სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანეპიდ-სამსახურის მიერ წარმოდგენილ ცნობაში აღნიშნულია, რომ უკანასკ-ნელ წლებში რესპუბლიკის ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებუ-ლებებში საყურადღებო ღონისძიებები ხორციელდება სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესები-სათვის.

ამ მიმართებით აღსანიშნავია განთიადის № 1, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური, მახარაძის, ცხაკაიას რაიონების, თბი-ლისისა და ქუთაისის ყრუ ბავშვთა, გუდაუთის რაიონის დამხმარე და სხვა სკოლა-ინტერნატები.

გატარებულ ღონისძიებათა მიუხედავად, რიგი სკოლა-ინტერნატე-ბისა და საბავშვო სახლების სანჰიგიენური და სანტექნიკური მდგომა-რეობა არ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს.

თბილისის რესპუბლიკური სამუსიკო სკოლა-ინტერნატის შენობას (ამხ. ე. თოდუა) ესაჭიროება კაპიტალური შეკეთება. სპორტულ დარ-ბაზში დაზიანებული სახურავიდან წვიმის წყალი ჩამოდის, შესაკეთე-ბელია გასახდელები, გადატვირთულია საძინებლები (ერთ ბავშვზე მო-დის 2 კვ. მეტრი ფართობი), საძინებელ ოთახებს არ აქვს სარკმელები, დაზიანებულია ტუალეტებში წყლის ჩამრეცხი ავზები, შესაცვლელია ხელსაბანი ნიჟარები, შესაკეთებელია სამრეცხაო. ინტერნატში შეინიშ-ნება სასკოლო ავეჯის ნაკლებობა, ხოლო არსებულის გარკვეული ნაწი-ლი შესაცვლელია. კვების ბლოკში ფანჯრებს არ აქვს ბადურა, მწყობ-რიდანაა გამოსული მაცივარი, არ ხდება კერძებში „C“ ვიტამინის შე-ტანა.

გენერალ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკურ სპეციალიზე-ბულ საშუალო სკოლა-ინტერნატში (ამხ. ლ. აგულაშვილი) დაზიანებუ-ლია შიდა კანალიზაციის სისტემა, რის გამოც სართულებს შორის ჟო-ნავს საკანალიზაციო მილებში გამავალი წყალი, გაუქმებულია ხელის საბანი ნიჟარები, მოშლილია წყლის ონკანები, სამრეცხაო კეთილმოუ-წყობელი და სარემონტოა, ინტერნატს არ აქვს აბანო, სასწავლო ოთა-ხებსა და საძინებლებში მოწყობილი არ არის საჰაერო სარკმელები, არ აქვთ საკმაო რაოდენობით მაგარი ინვენტარი, საწოლები ამორტიზებუ-ლია, სპორტდარბაზს არ გააჩნია გასახდელი, საშხაპე. კვების ბლოკი მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში, სადაც არ მოქმედებს ვენტი-ლაცია. სამზარეულოს ჭურჭელი და ინვენტარი მოძველებულია, მოსა-

წყობია ჭურჭლის საშრობი თაროები და ხელის საბანები. პროდუქტების შესანახი საწყობი მცირე მოცულობისაა, რის გამოც ირღვევა პროდუქტების შენახვის წესები.

თბილისის სამუსიკო, ლაგოდეხის და ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში გოგონათა ჰიგიენის ოთახები მოთავსებულია შეუფერებელ სათავსოებში, არ აქვთ იხელი გამდინარე წყალი, სპეციალური თასები. უფრო მეტიც, ჰიგიენის ოთახები საერთოდ არ არის კირნათის, ჩაისუბნის, მახუნცეთის, ხულოსა და თიანეთის სკოლა-ინტერნატებში (ამხ. ამხ. ვ. კახაბერიძე, გ. გოგიტიძე, რ. ხალვაში, გ. ჯიმშერაძე და ე. მგელიაშვილი).

საშხაპეები არ აქვთ ცხინვალის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ახმეტის, ხულოსა და მახუნცეთის სკოლა-ინტერნატებს (ამხ. ამხ. ლ. პარასტაევი, ს. მიკუტიშვილი, გ. ოგანესიანი, შიომღვდლიშვილი).

თბილისის № 2 დამხმარე, თბილისის რვაწლიან, ფოთის, ბოდბის, ახმეტის, ახალციხისა და ყვარლის სკოლა-ინტერნატების (ამხ. ამხ. ვ. ჟორდანია, ლ. ციბაძე, ე. გაბედავა, ნ. კოჭლამაზაშვილი, ე. ლოლიაშვილი) სასადილოებში მოუწესრიგებელია დამხმარე სათავსოები. საკმარისი რაოდენობით არ აქვთ ჭურჭლის სარეცხი ჩანები, არ წარმოებს სასადილოს ინვენტარის მარკირება.

სოხუმის № 2, დრანდის, ახმეტის, ლენინგორისა და ხულოს სკოლა-ინტერნატების სპორტული დარბაზები მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში.

მაგარი ინვენტარის ნაკლებობას განიცდიან თბილისის რვაწლიანი, მხედველობადაქვეითებული, გლდანის სპორტული, სოხუმის № 1, № 2, ბათუმის №1 და № 2, კირნათის, მახუნცეთის, ცხინვალის, ლენინგორის, ჯავის, დრანდის, კალდახვარის, ბოგდანოვკის, ახმეტის, წითელწყაროს, ბოდბის, კასპის, ახალციხის, ჩოხატაურისა და თიანეთის სკოლა-ინტერნატები.

გადატვირთულია საძინებლები თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ, თბილისის ყრუ ბავშვთა, თბილისის № 1 და № 2 დამხმარე, ახმეტის, კირნათისა და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატებში, სადაც ნაცვლად 4 კვ. მეტრისა თითოეულ ბავშვზე საშუალოდ 1-2 კვ. მეტრი მოდის.

რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებში სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეს;

1. 2. უმოკლეს დროში შეისწავლონ და კოლეგიებზე და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ ინტერნატულ დაწესებულებებში აღსაზრდელთა სანიტარიულ-ჰიგიენური მომსახურებისა და სამედიცინო მომსახურების მდგომარეობა. მკაცრად იმსჯელონ იმ მუშაკებზე,რომლებსაც ჯერ კიდევ არ გაუტარებიათ ქმედითი ღონისძიებანი სანიტარიულ-ჰიგიენური რეჟიმის მოწესრიგებისა და აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ამასთან, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

1. 3. უზრუნველყონ ინტერნატული დაწესებულებები სათანადო ინვენტარით და დანადგარ-მოწყობილობებით, „სასკოლო ავეჯის გამოყენების შესახებ" სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის და სსრ კავშირის განათლების სამინისტროების 1974 წლის 12 ოქტომბრის № 117-74 მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად.

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დირექტორებმა:

2. 1. მტკიცედ დაიცვან ინტერნატულ დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, სრულ წესრიგში მოიყვანონ საკანალიზაციო და თბოსისტემები, კეთილმოაწყონ აბანო-საშხაპეები, სამრეცხაოები, ჰიგიენური ოთახები, იზოლატორები;

2. 2. უზრუნველყონ კვების ბლოკები გამდინარე ცხელი წყლით, ჭურჭლის სარეცხი ჩანებითა და საშრობი თაროებით, პროდუქტების დასამუშავებელი მარკირებული ინვენტარით, შესანახი სათავსოებითა და სამრეცხაო დანადგარებით;

2. 3. აამაღლონ პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ჰიგიენური სწავლებისა და აღზრდის, პირადი და საზოგადო ჰიგიენის მყარი ჩვევების დანერგვის, აღსაზრდელთა ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

3. ცნობად იქნას მიღებული, რომ საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ კ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით შემოწმების შემდეგ პერიოდში წესრიგში იქნა მოყვანილი საკანალიზაციო სისტემა, კვების ბლოკი, მექანიკური ვენტილაცია. შეძენილ იქნა სამზარეულოსა და სასადილოსათვის საჭირო ჭურჭელი, ინვენტარი და სხვა დანადგარ-მოწყობილობები.

4. აღინიშნოს თბილისის სამუსიკო, რვაწლიანი, გლდანის სპორტული, № 2 დამხმარე, სოხუმის № 1 და № 2, დრანდის, ბაბუშერას, კალდახვარის, ბათუმის № 1, კირნათის, ჩაისუბნის, მახუნცეთის, ხულოს, ცხინვალის, ლენინგორის, ჯავის, ფოთის, ახმეტის, ყვარლის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრიწყაროს, თიანეთის, ბოგდანოვკის, კასპის, ლანჩხუთის, მარნეულისა და საგურამოს სკოლა-ინტერნატების დირექტორების (ამხ. ამხ. ე. თოდუა, ლ. ციბაძე, ო. გაგუა, ე. ჟორდანია, ლ. ადლეიბა, შ. გოგია, გ. თოდუა, ო. ზანთარაია, ა. ამპარი, ნ. ქიქავა, ვ. კახაბერიძე, ო. გოგიტიძე, რ. ხალვაში, გ. ჯიმშერაძე, ნ. პარასტაევი, რ. ავლოხოვი, ე. გაბედავა, შიომღვდლიშვილი, გ. ჩიტიძე, ა. გოჯაევი, უ. ხარშილაძე) სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლის შესახებ დაქვემდებარებულ სკოლა-ინტერნატებში სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფაზე.

5. განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების შესაბამისი მაგარი და რბილი ინვენტარით, ფეხსაცმლითა და ტანსაცმლით შეუფერხებელ მომარაგებას.

6. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა) სისტემატური ზედამხედველობა და კონტროლი დააწესოს ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების მშენებლობასა და კაპიტალური რემონტის ხარისხიან ჩატარებაზე. შესაძლებლობის მიხედვით გამოუყოს სამშენებლო მასალები და საჭირო დანადგარ-მოწყობილობები.

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

7. 1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილების შესაბამისად (მუხლი 29) ექიმ-სპეციალისტებით დააკომპლექტოს მარტყოფის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი, პატარა ცემისა და ქობულეთის სანატორიული სატყეო სკოლები, ხაშურის რაიონის, ტაშისკარის სანატორიული სკოლა-ინტერნატი;

7. 2. გააძლიეროს დახმარება და კონტროლი მომსახურე სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე, იზრუნოს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. გამოყოს თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობა და მედიკამენტები სპეციალური და სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატებისათვის.

8. აღნიშნული ბრძანება დაეგზავნოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებს.

9. დაევალოს სკოლა-ინტერნაეტბისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. ჰ. თუთბერიძე) ახალი სასწავლო წლის პირველ სემესტრში გადაამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

 მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 8 აგვისტოს ბრძანება № 559

იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამტკიცების შესახებ, რომლებშიც უფროსი კლასების მოსწავლეები ავტომობილის მძღოლის პროფესიას ეუფლებიან

საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების დადგენილების „მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ დანართის შესაბამისად 1982—1983 სასწავლო წლიდან ავტომობილის მძღოლების მომზადება შემოღებულია 40 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის უფროსკლასელ (IX-X) მოსწავლეთათვის ავტოსაქმის დაუფლებაში ხელის შეწყობის მიზნით და საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ (IX-X) მოსწავლეთაგან ავოტმობილის მძღოლების მოსამზადებლად დამტკიცდეს:

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ქ. სოხუმის მე-2 საშუალო სკოლა-ინტერნატი, გაგრის მე-4, გუდაუთის რაიონის სოფელ ახალი ათონის, გულრიფშის რაიონის სოფელ კელასურის, ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუს, ქედის რაიონის სოფელ ხარაულას, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის, შუახევის რაიონის სოფლების ოლადაურის, ჯაბანიძეების, ზნაურის რაიონის სოფელ წნელისის, ქ. თბილისის 141-ე, 164-ე, 176-ე, 131-ე, 160-ე, ქ. ქუთაისის 25-ე, 29-ე, ქ. ფოთის მე-8, ქ. რუსთავის 21-ე, ქ. გორის მე-12, ქ. ტყიბულის მე-2, ქ. ზუგდიდის მე-10, ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმნის, ახალციხის რაიონის დაბა ვალეს 1-ლი, ახმეტის რაიონის მე-2, ბოგდანოვკის რაიონის სომხური, ბოლნისის რაიონის აზერბაიჯანული, ვანის რაიონის კიროვის სახელობის, გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალის, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნამიკოლავოს მე-2, სოფელ ნახუნაოს, დმანისის რაიონის მე-2, მარნეულის რაიონის მე-2, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ წყალფორეთის, თეთრი წყაროს რაიონის ქართული, ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუტელის, წალკის რაიონის სოფლების ოლიანგის, ყიზილქილისის, ცხაკაიას რაიონის მე-5, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება

საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-9 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრების შედეგებისა და მე-10 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-9 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრება ჩატარდა 1984 წლის 18-25 ივნისს ბორჯომის რაიონის სოფლების ახალდაბისა და გვერდისუბნის ტერიტორიაზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო უფროსი ასაკის ექვსმა და უმცროსი ასაკის ხუთმა გუნდმა, მონაწილეთა საერთო რაოდენობა 187 მოსწავლეს შეადგენდა, 6 გუნდი სოფლის სკოლების მიერ იქნა წარმოდგენილი, ხოლო 5 — ქალაქის სკოლებისაგან.

შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. ტყვარჩელის, ქობულეთის, სოხუმის, ცხაკაიას, ცხინვალის, გარდაბნისა და გორის რაიონებმა.

ღონისძიების ჩაატარებას ხელი შეუწყო მსაჯთა კოლეგიის ობიექტურმა მუშაობამ.

შეჯიბრებაზე ყოველმხრივ მომზადებული გამოცხადდა ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის (ამხ. ამხ.: რ. დარჩია, ნ. ჩხაიძე და ვ. ჯიბლაძე), ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათის (ამხ. ამხ.: თ. გოგიჩევი და ნ. კეკოშვილი), ცხაკაიას 1-ლი (ამხ. ამხ. ამხ. გ. კიკიანი და რ. მალანია) საშუალო სკოლების უფროსი ასაკის ტურისტული გუნდები. უმცროს ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე შედეგიანი იყო ქ. თბილისის 143-ე საშუალო სკოლის (ამხ. ამხ.: გ. ხიდეშელი, ნ. ძუკაევა და თ. გოთუა), ქ. ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლის (ამხ. გ. დგებუაძე) და გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის (ამხ. თ. ბარბაქაძე) მოსწავლეთა კოლექტივები, რომლებიც შეჯიბრების ცალკეულ სახეობებში მოპოვებული ქულებით დამსახურებულად გავიდნენ საპრიზო ადგილებზე. ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის ქართული საშუალო სკოლის უფროსი ასაკისა და ქ. თბილისის 143-ე საშუალო სკოლის უმცროსი ასაკის ტურისტული გუნდები პიონერ-მოსწავლეთა მე-9 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრების ჩემპიონები გახდნენ და მე-5 საკავშირო ტურისტულ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

მიუხედავად აღნიშნულისა, პიონერ-მოსწავლეთა მე-9 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრების ჩატარების დროს შეინიშნებოდა სერიოზული ნაკლოვანებანი, კერძოდ: ზოგიერთი ზონიდან ნაცვლად ორ-ორი გუნდისა, თითო გუნდმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო ბორჯომის, ლაგოდეხისა და ჭიათურის ზონებიდან არც ერთი გუნდი არ იქნა გამოგზავნილი რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშ-

ნულ ზონებში ტურისტული შეჯიბრებები დებულების სრული დაცვით
არ ჩატარებულა. რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე გამოვლინდა გუნდების მომზადების დაბალი დონე ტოპოგრაფიულ აგეგმვასა და სპორტულ ორიენტირებაში. არადამაკმაყოფილებელი იყო ზოგიერთი გუნდის ჩაცმულობა და აღჭურვილობა. მონაწილეთა 20 პროცენტს არ ჰქონდა სპორტსმენის საკლასიფიკაციო წიგნები. სუსტია ადგილობრივი სახალხო განათლების განყოფილებათა დახმარება ტურისტული გუნდებისადმი.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-9 რესპუბლიკურ ტურისტულ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობის, მოსწავლეთა მასობრივი ჩაბმისა და საპრიზო ადგილების მოპოვებისათვის, სასკოლო ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის სათანადოდ გაშლისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ მასწავლებლები (დანართი 1).

2. საქართველოს პიონერ-მოსწავლეთა მე-9 რესპუბლიკურ ტურისტულ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ სკოლების ტურისტული გუნდები (დანართი 2).

3. დაევალოს ქ. თბილისის ლენინისა და ქობულეთის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს სერიოზული მუშაობა გაშალონ საკავშირო შეჯიბრების მონაწილე თბილისის 143-ე და ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის საშუალო სკოლების უმცროსი და უფროსი ასაკის ტურისტული გუნდების თეორიული და პრაქტიკული მომზადებისათვის, ყოველგვარი ღონისძიება გაატარონ მათთვის ტურისტული ინვენტარის, აღჭურვილობისა და სპორტული და საპარადო ფორმების შეძენისათვის. 1985 წლის ხარჯთაღრიცხვაში გაითვალისწინონ გუნდების საკავშირო შეჯიბრებაზე გაგზავნის ხარჯები.

4. ბავშვთა ცენტრალურმა საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა 1985 წლის მაის-ივნისში მოაწყოს ოცდღიანი საწვრთნელი შეკრება საკავშირო შეჯიბრების მონაწილე გუნდებისათვის.

5. ნება დაერთოს ბავშვთა ცენტრალურ საექსკურსიო-ტურისტულ სადგურს პიონერ-მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკური შეჯიბრება ჩაატაროს 1985 წლის 15-25 ივნისს მცხეთისა და დუშეთის რაიონების ტერიტორიაზე მე-9 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრების დებულებით.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

6. 1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა დირექტორებს გააცნონ მომავალი შეჯიბრების პირობები, რათა დროულად მოამზადონ ჯგუფები სასკოლო, საქალაქო (სარაიონო) და ზონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის;

6. 2. ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდები უზრუნველყონ სპორტული, ტურისტული ფორმებითა და სათანადო ინვენტარით, მგზავრობის ხარჯებით და დღიურებით რესპუბლიკური შეჯიბრების ადგილზე გამოცხადებამდე.

7. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-9 რესპუბლიკურ ტურისტულ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობის, მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმისა და საპრიზო ადგილების მოპოვებისათვის, სასკოლო ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის სათანადოდ გაშლისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით დაჯილდოებულ მასწავლებელთა სია:

1. გოთუა თამაზ პარმენის ძე — თბილისის 143-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
2. ძუკაევა ნორა შალვას ასული — თბილისის 143-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
3. ხიდეშელი გოგი ვარლამის ძე — თბილისის 143-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
4. დარჩია რევაზ ვასილის ძე— ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის საშუალო სკოლის მასწავლებელი
5. ჩხაიძე ნელი გრიგორის ასული — ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის საშუალო სკოლის მასწავლებელი
6. ჯიბლაძე ვალტერ რაფიელის ძე — ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვის საშუალო სკოლის მასწავლებელი
7. გოგიჩევი თედორე ნესტორის ძე — ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათის საშუალო სკოლის მასწავლებელი
8. კეკოშვილი ნაზი ილიას ასული — ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათის საშუალო სკოლის მასწავლებელი
9. ბარბაქაძე თამაზ გიორგის ძე — გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის მასწავლებელი
10. ქაჩიბაია მიხეილ მიხეილის ძე — სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი
11. კუპატაძე ზურაბ ავთანდილის ძე — სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი
12. ასკელაშვილი ზაურ ამირანის ძე — გორის რაიონის სოფელ ქვაცხრელის საშუალო სკოლის მასწავლებელი
13. კიკიანი გურამ სპირიდონის ძე — ცხაკაიას რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი
14. მალანია რუსუდან ამირანის ასული — ცხინვალის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი
15. დგებუაძე გიორგი ვლადიმერის ძე — ქ. ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი
16. ცერცვაძე მიხეილ თენგიზის ძე — გორის რაიონის სოფელ ახალდაბის საშუალო სკოლის მასწავლებელი

17. ლალიაშვილი ჯემსი გრიგოლის ძე — ქ. ქუთაისის 29-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
18. ჟორჟოლიანი თამაზ გრიგოლის ძე — ქ. ქუთაისის 29-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
19. ჯამბურია დემურ ვლადიმერის ძე — ქ. ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
20. ედიბერიძე ლელი შალვას ასული — ქ. ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-9 რესპუბლიკურ ტურისტულ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით დაჯილდოებული ტურისტული გუნდების სია:

1. ქ. თბილისის 143-ე საშუალო სკოლა
2. ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაქვის საშუალო სკოლა
3. ქ. ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლა
4. ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათის საშუალო სკოლა
5. ქ. ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლა
6. ცხაკაიას 1-ლი საშუალო სკოლა
7. სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთის საშუალო სკოლა
8. გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლა
9. ქ. ქუთაისის 29-ე საშუალო სკოლა
10. გორის რაიონის სოფელ ქვახვრელის საშუალო სკოლა
11. გორის რაიონის სოფელ ახალდაბის საშუალო სკოლა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გაძლიერების თაობაზე“ გამომდინარე საქართველოს სსრ სახალხო განათლების ორგანოების ამოცანების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გაძლიერების შესახებ“, რომელიც ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობისადმი, ლენინური კომკავშირისადმი პარტიის შეუნელებელი ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

დადგენილებაში აღნიშნულია ის დიდი წვლილი, რომელიც ლენინურ კომკავშირს შეაქვს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. ახალგაზრდობა ღირსეულად აგრძელებს უფროსი თაობის სახელოვან ტრადიციებს, იბრძვის კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის.

გარკვეული წარმატებებით ხასიათდება რესპუბლიკის სასკოლო კომკავშირის საქმიანობაც, რომელიც პარტიული ორგანიზაციების, კომკავშირისა და სახალხო განათლების ორგანოების მხარდაჭერითა და დახმარებით აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და შრომით საქმიანობაში, იბრძვის მოსწავლეთა მიერ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის შეძენის, დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობას თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანათა გადაწყვეტაში, აქტიურად მონაწილეობს მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში, სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის ლაშქრობაში, საფუძველს უყრის ახალ წამოწყებებს, ინიციატივასა და თაოსნობას.

მოსწავლეთა კოლექტივების გააქტიურების, მათი საქმიანობისადმი პედაგოგიური ხელმძღვანელობის სრულყოფისა და შემდგომი გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიების გადაწყვეტილებებმა: „უფროს პიონერხელმძღვანელთა კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორ-

განიზატორთა ზონალური თათბირების შედეგების შესახებ", „უფროს-კლასელთა საზოგადოებრივი აქტივობის ფორმირებისათვის სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ", „აღმზრდელობით მუშაობაში სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების შესახებ" და სხვ.

მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის აქტივიზაციისა და შემდგომი გაუმჯობესების ქმედითი ფორმა გახდა აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდისტებისათვის, სკოლისგარეშე დაწესებულებათა დირექტორებისათვის ჩატარებული რესპუბლიკური მიზნობრივი მეთოდურ-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოს კპ ცკ გადაწყვეტილებების საფუძველზე სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მდივნების ზონალური თათბირ-სემინარები სამინისტროს ხელმძღვანელი ამხანაგების მონაწილეობით, პიონერული და კომკავშირული აქტივის წრეების გაზრდა პიონერთა სახლებსა და სასახლეებში და ა. შ.

მტკიცდება კონტაქტები საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის მთელი რიგი აქტუალური საკითხები იხილება ერთობლივ კოლეგიებსა და ბიუროს სხდომებზე, მზადდება და ტარდება ერთობლივი ღონისძიებები.

ამასთან, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღინიშნა, განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის ამოცანები, ორი მსოფლიო სისტემის კონფრონტაციის გაძლიერება მოითხოვს კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, მოზარდი თაობის აღზრდის მთელი საქმის შემდგომ გაუმჯობესებას.

დადგენილება მოითხოვს გაძლიერდეს ყურადღება მოსწავლე ახალგაზრდობაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი შეურიგებლობის, ცოდნის შეძენის სურვილის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირებისათვის, რაშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკურსა და ზნეობრივ აღზრდას, კომკავშირულ კადრებთან მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას.

დადგენილებაში ნათლადაა გამოკვეთილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ადგილი და დანიშნულება. მასში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მტკიცედ და თანმიმდევრულად წარიმართოს სკოლის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული მუშაობა. ამასთან ერთად, იზრდება კომკავშირის პასუხისმგებლობაც, რომელიც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის, მოსწავლეთა შრომითი, პროფესიული მომზადების ხარისხის გაუმჯობესებაში პედაგოგიური კოლექტივების საიმედო დასაყრდენი უნდა იყოს. აქვე მითითებულია ბავშვთა აღზრდის საქმეში მშობლების პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებლობის შესახებ.

დადგენილებაში მწვავედაა დაყენებული ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის, კომკავშირის საქმიანობის სტილისა და მეთოდების, მასზე პარტიული ხელმძღვანელობის შემდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გომი სრულყოფის საკითხები. აღნიშნულია, რომ სკოლის პარტიული ორგანიზაცია მოსწავლეთა აღზრდის პროცესზე გავლენას პედაგოგიური კოლექტივების მეშვეობით უნდა ახდენდეს. შესაბამისად საჭიროა ამაღლდეს მასწავლებელთა პირადი პასუხისმგებლობა, რადგანაც პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მათი მუშაობა ჯერ კიდევ მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებით ხასიათდება. მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ იცნობს პიონერული და კომკავშირული მუშაობის შინაარსს, ფორმებსა და მეთოდებს, სუსტად ფლობს მისი მართვის ჩვევებს. ხშირად ეს საქმიანობა კომკავშირელთა და პიონერთა ასაკობრივი თავისებურებების, მათი შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად ხდება. მასწავლებლები ვერ ახერხებენ განსაზღვრონ კომკავშირის ადგილი და როლი მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ამოცანათა განხორციელებაში. ამიტომაც ადგილი აქვს კოლექტივის ხელმძღვანელად ისეთი მოსწავლეების არჩევას, რომლებიც ვერ ახერხებენ საქმიანობის საინტერესოდ წარმართვას, არ აქვთ თანატოლთა შორის ავტორიტეტი და მოზარდები არ თვლიან მათ თავიანთ წინამძღოლად, რაც იწვევს ხელმძღვანელის როლის გაუფასურებას, ფორმალიზმს მუშაობაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ მოზარდი თაობის აღზრდის შემდგომი გაუმჯობესება უნდა მივიჩნიოთ უმნიშვნელოვანეს პარტიულ, სახელმწიფო და საერთო-სახალხო საქმედ. ამასთან, ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ საბოლოო ანგარიშით ეს ჩვენი სამშობლოს მომავლის საიმედო უზრუნველყოფის საკითხია.

კოლეგიამ, სკკპ ცკ დადგენილებაში „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გაძლიერების შესახებ“ დასმული ამოცანების ოპერატიული და ქმედითი განხორციელების მიზნით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქ?ს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს:

1. 1. უზრუნველყონ აღნიშნული დადგენილების ფართოდ გაცნობა და შესწავლა რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებში, სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების მოსწავლეთა და მასწავლებელთა კოლექტივებში, შეიმუშაონ სათანადო ღონისძიებები და ხელი შეუწყონ დადგენილებაში მოცემული კონკრეტული ამოცანების ადგილებზე განხორციელებას;

1. 2. პრინციპულად, ადგილობრივი მოთხოვნებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით გადაწყვიტონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორების, უფროსპიონერ-

ხელმძღვანელთა კადრების შერჩევისა და დანიშვნის საკითხი;

1. 3. შეისწავლონ და ფართოდ დანერგონ უფროსკლასელებთან, კომკავშირლებთან მუშაობის მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება;

1. 4. გააძლიერონ მეთოდური სამსახურების საქმიანობა მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობის აქტუალურ საკითხებზე;

1. 5. კომკავშირლებთან, ახალგაზრდობასთან მუშაობის პროცესში სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების კოლექტივების საქმიანობის ორგანიზაციისა და ერთიანი მოთხოვნების განხორციელების მიზნით სრულყონ კონტაქტები ადგილობრივ ხელმძღვანელ კომკავშირულ ორგანოებთან.

2. სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა:

2. 1. სრულყონ უფროსკლასელებთან, პიონერებთან და კომკავშირლებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მოისმინონ მოსწავლეთა კოლექტივების საქმიანობისადმი პედაგოგიური ხელმძღვანელობის საკითხები, ალკკ და მოსწავლეთა კომიტეტების წარმომადგენელთა ინფორმაციები მათი საქმიანობის ძირითად პრობლემებზე, აღმოუჩინონ პრაქტიკული დახმარება მათ გადაწყვეტაში;

2. 2. განავითარონ მოსწავლეთა ინიციატივა და თვითმოქმედება, უფრო აქტიურად გამოიყენონ დავალებების, წახალისების, სოცშეჯიბრების როლი, არ დაუშვან კომკავშირული, პიონერული, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების მიმართ წვრილმანი მეურვეობისა და ზედმეტი რეგლამენტაციის შემთხვევები;

2. 3. მიაღწიონ იმას, რომ მოზარდები თავიანთ წინამძღოლად ირჩევდნენ სათანადო ავტორიტეტის მქონე მოსწავლეებს, რომლებსაც უნარი აქვთ გაიყოლონ თანატოლთა კოლექტივი, გაუწიონ სწორი და დროული პედაგოგიური დახმარება;

2. 4. აღმოუჩინონ ქმედითი დახმარება ალკკ კომიტეტს, უფროს პიონერხელმძღვანელს აქტივის სწავლების, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში შესასვლელად მოსწავლეების მომზადებისა და მიღების პრაქტიკის სრულყოფის საქმეში, მოსწავლის იდეურ-ზნეობრივი, მოქალაქეობრივი პიროვნების ფორმირებაში კომკავშირული კრებების, პიონერული შეკრებების აღმზდელობითი ზემოქმედების უფრო სრულყოფილად გამოსაყენებლად;

2. 5. დაეხმარონ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომ თითოეულ მოსწავლეში აღიზარდოს ღრმა პატივისცემის გრძნობა სახელმწიფო სიმბოლოების დროშის, ღერბისა და ჰიმნის, პიონერული და კომკავშირული სიმბოლიკისა და რიტუალების მიმართ;

2. 6. ფართოდ წარმართონ დიალოგი მოსწავლეებთან უმნიშვნელოვანეს სოციალურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ პრობლემებზე, გააძლიერონ მათ შორის კონტრპროპაგანდისტული მუშაობა;

2. 7. აამაღლონ კლასის ხელმძღვანელთა როლი და პასუხისმგებ-
ლობა კომკავშირელთა ცხოვრებისა და საქმიანობის ორგანიზაციაში, იზრუნონ მათი პროფესიულ-პედაგოგიური მომზადებისათვის მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის, სკოლაში პიონერული და კომკავშირული მუშაობის საკითხებზე;

2. 8. ხელი შეუწყონ მასწავლებელთა, ალკკ ორგანიზაციების მუშაობის გააქტიურებას, თითოეული ახალგაზრდა პედაგოგის პასუხისმგებლობის ამაღლებას, მათში ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებას;

2. 9. ხელი შეუწყონ მშობლებთან აღმზრდელობითი მუშაობის ოპტიმიზაციას, ფართოდ ჩააბან ისინი სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გამოუმუშაონ პედაგოგიური კოლექტივის საქმეებისა და საზრუნავისადმი თანამონაწილეობის გრძნობა;

2. 10. დაეხმარონ ალკკ და პიონერულ ორგანიზაციებს საშეფო წარმოება-დაწესებულებების ალკკ ორგანიზაციებთან კონტაქტების განმტკიცებაში, მოზარდი თაობის აღზრდაში მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

3. დაევალოს რესპუბლიკის პედაგოგიური პრესის რედაქტორებს (ამხ. ნ. შველიძე, რ. ძერია) თავიანთ ფურცლებზე სისტემატურად გააშუქონ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა რესპუბლიკის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში.

4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებს, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებს, რესპუბლიკურ მეთოდკაბინეტებს.

5. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ჟინჟლაძე

РЕШЕНИЕ
КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О задачах органов народного образования республики, вытекающих из постановления ЦК КПСС «О дальнейшем улучшении партийного руководства комсомолом и повышении его роли в коммунистическом воспитании молодежи»

9 августа 1984 года

ЦК КПСС принял постановление «О дальнейшем улучшении партийного руководства комсомолом и повышении его роли в коммунистическом воспитании молодежи», что явилось еще одним ярким свидетельством неустанной заботы партии о молодежи Советской страны, ее авангарде — Ленинском комсомоле.

Постановление отмечает, тот большой вклад, который вносит комсомол — надажный резерв партии, в социально-политическое, экономическое и культурное развитие страны, укрепление ее обороноспособности, в дело коммунистического воспитания подрастающего поколения. Молодежь, комсомол с честью продолжают славные традиции старших поколений, с упорством и энтузиазмом борются за торжество идей коммунизма.

Определенными успехами характеризуется и деятельность школьного комсомола республики, активно участвующего под руководством партийных организаций, комсомольских органов, органов народного образования в общественно-политической и трудовой деятельности, борьбе за глубокие и прочные знания, укрепление дисциплины и правопорядка.

Комсомольцы, учащаяся молодежь республики активно вносят свою посильную лепту в решение задач общегосударственного значения: участвуют в борьбе за мир, в реализации продовольственной программы, в походе за экономию и бережливость, рождая новые почины, инициативы, начинания. В активизации деятельности ученических коллективов, дальнейшем улучшении руководства их деятельностью значительную роль сыграли решения коллегии Министерства, как: «О мероприятиях по улучшению работы с кадрами старших пионервожатых», «Об итогах зональных совещаний организаторов внеклассной и внешкольной работы», «Роль органов народного образования, педагогических коллективов школ в формировании общественной акти-

вности старшеклассников», «Об использовании государственных символов в воспитательной работе» и т. д.

Действенным средством активизации и улучшения работы с комсомолом явились Республиканский целевой методико-практический семинар дирекотров внешкольных учреждений и методистов по воспитательнои части, проведенные на основе решения ЦК КП Грузии, зональные совещания — семинары секретарей первичных партийных организаций школ с участием руководящих работников Министерства, мероприятия по расширению сети кружков комсомольского и пионерского актива в Домах и Дворцах пионеров.

Важным определяющим фактором явился и тесный контакт Министерства просвещения с ЦК ЛКСМ Грузии, нашедший выражение в совместных заседаниях, мероприятиях, принятии совместных решений по ряду актуальных проблем коммунистического воспитания подрастающего поколения.

Вместе с тем постановление ЦК КПСС требует настоятельного улучшения партийного руководства комсомолом, всего дела воспитания подрастающего поколения, что вызвано решением задач совершенствования развитого социализма, усилением противоборства двух мировых систем.

Постановление обязывает усилить внимание к формированию у молодежи и учащихся марксистско-ленинского мировоззрения, непримиримого отношения к буржуазной идеологии и морали, выработке органической потребности в овладении знаниями, активной жизненной позиции. Первостепенное значение придается идейно-политическому и нравственному воспитанию молодежи; улучшению и совершенствованию работы с комсомольскими кадрами.

Постановление возлагает особую ответственность на общеобразовательную школу, в связи с чем предлагается настойчиво и последовательно вести работу, связанную с осуществлением школьной реформы по всем ее основным направлениям.

Возрастает и ответственность комсомола, призванного быть надежной опорой педагогических коллективов в повышении качества учебно-воспитательного процесса, трудовой, профессиональной подготовки учащихся.

Остро ставится вопрос необходимости устранения существующих недостатков, нерешенных проблем, перестройки стиля и метода деятльности комсомола, партийного руководства им. Возрастает и личная ответственность каждого учителя, тем бо-

лее, что значительный процент учителей не знает содержания форм и методов работы комсомольской организации, слабо владеет навыками ее проведения. Зачастую эта работа ведется без учета возрастных особенностей комсомольцев, их возможностей, накопленного предыдущего опыта. Учителя порой не могут определить место и роль комсомола в решении задач коммунистического воспитания учащихся. В связи с этим нередки случаи, когда во главе тех или иных органов самоуправления в школе избираются учащиеся, не способные интересно и содержательно направить воспитательную работу, не пользуются авторитетом среди сверстников, их не считают вожаками. Все это обесценивает роль руководителя, рождает формализм в работе.

ЦК КПСС подчеркнул, что дальнейшее улучшение воспитания подрастающего поколения следует рассматривать как важнейшее партийное, государственное и общенародное дело. Исходить из того, что в конечном счете это вопрос надежного обеспечения будущего нашей Родины.

В целях действенного и оперативного решения задач, выдвинутых постановлением ЦК КПСС «О дальнейшем улучшении партийного руководства комсомолом и повышении его роли в коммунистическом воспитании молодежи» коллегия решает:

1. Поручить Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования г. Тбилиси:

1.1. обеспечить широкую гласность и изучение настоящего постановления среди педагогических и ученических коллективов школ, внешкольных учреждений. Разработать конкретные мероприятия, содействующие выполнению на местах требований постановления;

1.2. принципиально, с учетом местных требований и возможностей решать вопрос подбора и расстановки кадров организаторов внеклассной и внешкольной воспитательной работы, старших пионервожатых;

1. 3. изучать и шире распространять передовой педагогический опыт работы со старшеклассниками, комсомольцами;

1. 4. усилить внимание методических служб к актуальным проблемам воспитательной работы с учащимися;

1. 5. в целях соблюдения единых требований к организации и обеспечению деятельности педагогических коллективов школ,

внешкольных учреждений с комсомольцами и старшеклассниками совершенствовать контакты с местными руководящими комсомольскими органами.

2. Руководству и педагогическим коллективам школ, внешкольных учреждений:

2. I. совершенствовать стиль, формы и методы работы со старшеклассниками, комсомольцами и пионерами. Шире практиковать на заседаниях педсоветов заслушивание вопросов педагогического руководства ученическими коллективами, информаций представителей комитета комсомола, учкома по основным проблемам деятельности, оказывать практическую помощь в их разрешении;

2. 2. развивать инициативу и самодеятельность школьников, активнее использовать роль поручений, поощрений, соцсоревнований. Не допускать мелочной оцеки и регламентации органов комсомольского, пионерского, ученического самоуправления;

2. 3. добиваться того, чтобы учащиеся своими вожаками выбирали сверстников, пользующихся авторитетом, способных повести за собой коллектив; систематически поддерживать их в работе;

2. 4. оказывать действенную помощь старшим пионервожатым, комитету комсомола в учебе актива, совершенствовании практики подготовки и приема учащихся в пионерскую организацию и комсомол, более полном использовании воспитательных возможностей комсомольских собраний, пионерских сборов в идейно-нравственном гражданском становлении личности школьника;

2. 5. помогать комсомольской и пионерской организациям в воспитании у каждого школьника чувства глубокого уважения к Государственным символам — Гербу, Флагу, Гимну, комсомольской, пионерской символике и ритуалам;

2. 6. широко вести диалоги с учащейся молодежью по важнейшим социальным, экономическим, политическим проблемам; усилить контрпропагандистскую работу среди них;

2. 7. повышать роль и ответственность классных руководителей в организации жизни и деятельности комсомольцев, пионеров. Заботиться о повышении уровня профессионально-педагогической подготовки каждого учителя в области теории и методики коммунистического воспитания учащихся, пионерской и комсомольской работы в школе;

2. 8. содействовать активизации деятельности с учащейся молодежью учительских комсомольских организаций, молодых педагогов, развивать инициативу и наставничество;

2. 9. способствовать оптимизации воспитательной работы с родителями, широко вовлекать их в общественную жизнь школы, прививать чувство сопричастности к делам и заботам педагогического коллектива;

2. 10. помогать комсомолу, пионерстой организации крепить контакты с комсомольскими организациями шефских предприятий, максимально использовать их возможности в воспитании подрастающего поколения.

3. Поручить редакциям республиканской педагогической прессы (тт. Н. Швелидзе, Р. Дзерия) систематически освещать на своих страницах ход выполнения школами и внешкольными учреждениями республики постановления ЦК КПСС «О дальнейшем улучшении партийного руководства комсомолом и повышении его роли в комунстическом воспитания молодежи».

4. Настоящее решение разослать во все отделы народного образования, институты усовершенствования учителей, республиканские методкабинеты.

5. Контроле за выполнение настоящего решения возложить на Управление воспитательной работы (т. Э. Заркуа).

Председатель коллегии,
Министр О. Кинкладзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საორგანიზაციო-პედაგოგიური განყოფილების 1984 წლის 9 აგვისტოს ინფორმაცია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატსა და რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში მშრომელთა განცხადება-საჩივრებზე მუშაობის მდგომარეობის შესახებ

აღსანიშნავია, რომ აპარატის მუშაკები მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მშრომელთა წერილების, განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეს.

1984 წლის I-II კვარტალში შეკრებული განცხადება-საჩივრებიდან აპარატის თანამშრომლების მიერ უშუალოდ შესწავლილი და განხილულია 950 განცხადება-საჩივარი. საანგარიშო პერიოდში სამინისტროს აპარატში შემოსულია 1103 განცხადება-საჩივარი. მათ შორის: საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტიდან — 67, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოდან — 21, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიდან—12, სსრ კავშირის განათლების სამინისტროდან—32.

შემოსული განცხადება-საჩივრებიდან 5 დღეში განხილულია 294 განცხადება-საჩივარი, 15 დღეში — 251, ერთ თვეში — 204, ერთ თვეზე მეტ დროში ვადის გაგრძელებით — 22.

საანგარიშო პერიოდში შემოსული განცხადება-საჩივრებიდან უშუალოდ საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს შესასრულებლად და სათანადო რეაგირებისათვის გადაეგზავნა 153 განცხადება-საჩივარი.

ინსპექტირების მიზნით გადამოწმებულ იქნა ლაგოდეხისა და ხობის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებში ამ მიმართებით ჩატარებული მუშაობა.

შემოწმებით დადგინდა, რომ სახალხო განათლების განყოფილებებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული ინსტრუქციის შესაბამისად შემოღებული აქვთ მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის ერთიანი სისტემა.

გარკვეულ დადებით მუშაობასთან ერთად, ორივე რაიონში შეინიშნება განცხადებებზე პასუხის გაუცემლობის, ან შუალედური პასუხებისა და მათზე მუშაობის ვადის გაგრძელების გარეშე, პასუხის დაგვიანებით გაცემის შემთხვევები.

ასე მაგალითად: მოქალაქეების გ. სირბილაძის 1983 წლის 25 აგვისტოს, თ. ქუფარაშვილის — 1983 წლის 10 ივნისის და ლ. გოგოლაძის 1983 წლის 20 ოქტომბრის განცხადებებზე, რომლებიც სამუშაოზე მოწყობის საკითხს ეხება, ლაგოდეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას პასუხი ჯერ არ გაუცია.

პასუხი გაცემული არ არის, ასევე, სოფელ ფოჩხობოგირის რვა-

წლიანი სკოლის ცეცხლფარეშის გ. გაკითოვის განცხადებაზე, რომელიც შემსრულებელს ორი თვის დაგვიანებით გადაეცა.

ასევე დაგვიანებით გაეგზავნა პასუხი ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში მცხოვრებ მ. ქორქიას, რომელიც შვილის სკოლაში დაბრუნებას ითხოვდა.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით შესაბამისი რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს მკაცრად მიეთითათ.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საორგანიზაციო-პედაგოგიური განყოფილების ინფორმაცია „საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატსა და რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში მშრომელთა განცხადება-საჩივრებზე მუშაობის მდგომარეობის შესახებ" მიღებულ იქნას ცნობად.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2. 1. მიიღონ ყველა საჭირო ზომა მშრომელთა წერილებზე მუშაობის გასაუმჯობესებლად; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მუშაკთა საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას; მკაცრად მოთხოვონ პასუხი იმ მუშაკებს, რომლებიც არღვევენ მშრომელთა წერილებზე მუშაობის დადგენილ წესს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრის მოადგილე ო. დოლიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 10 აგვისტოს გრძანება № 563

რესპუბლიკის დამხმარე სკოლა-ინტერნატების (სკოლების) მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ერთგვარად გაუმჯობესდა ანომალურ ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმე, სამედიცინო მომსახურება და საყოფაცხოვრებო პირობები. შემცირდა ასაკგადაცილებულ მოზარდთა და დამხმარე სკოლა-ინტერნატისათვის შეუფერებელი კონტინგენტის ჩარიცხვის შემთხვევები.

შემოწმებით დადგენილია, რომ ამ ტიპის სკოლა-ინტერნატები (სკოლები) ძირითადად უზრუნველყოფილია საჭირო ტექნიკური საშუალებებით, გაკვეთილის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საჭირო დიდაქტიკური და სხვა დამხმარე მასალებით. ადგილზე დამზადებულ თვალსაჩინო-დიდაქტიკურ მასალას სკოლა-ინტერნატის პედაგოგები წარმატებით იყენებენ სწავლების პროცესში, წარმატებით ახორციელებენ დიფერენციული სწავლების მეთოდებს, ინდივიდუალურ მიდგომას, აღწევენ ბავშვთა აქტივიზაციას, დამოუკიდებელი აზროვნებისა და სწორი მეტყველების განვითარებას.

სკოლა-ინტერნატებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომითი სწავლების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვას, აღსაზრდელებში შრომითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მათ შრომით მოწყობას.

დამაკმაყოფილებელია თბილისის № 1, ქუთაისის (გუმათი) და გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის დამხმარე სკოლა-ინტერნატების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენა.

აღნიშნული სკოლა-ინტერნატების დირექციათა და შესაბამისი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა მოუქნელი მუშაობის შედეგად ზემოაღნიშნულ სკოლა-ინტერნატებს დღეისათვის არ გააჩნიათ შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რის გამოც სერიოზული სიძნელეებია შექმნილი სასწავლო-აღმზრდელობითი და საკორექციო მუშაობის სწორად წარმართვის საქმეში. ახალციხის, ბუნიკაურისა და გუნათის სკოლა-ინტერნატებს (ამხ. ამხ. პ. ალავიძე, გ. მიროტაძე, თ. ტყაბლაძე) არ აქვთ სასწავლო კაბინეტები, არასრულყოფილადაა მოწყობილი პიონერთა ოთახები, სააქტო და სპორტული დარბაზები, სათანადო სააღმზრდელო ჯგუფები და დასასვენებელი ოთახები.

არადამაკმაყოფილებელი მატერიალური ბაზისა და არასათანადო აღჭურვილობის გამო სადღეისო მოთხოვნებს ვერ პასუხობს კოხნარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატში სადურგლო საქმისა და ახალციხის სკოლა-ინტერნატში ჭრა-კერვის შრომითი სწავლების კაბინეტები.

დღემდე არ არის მოწყობილი სრულყოფილად და ფართობის სიმცირის გამო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს საყოფაცხოვრებო-სოციალური ორიენტაციის კაბინეტები (ახალციხე, ბუნიკაური, კოხნარი).

აღნიშნულ სკოლა-ინტერნატებში სერიოზული ნაკლოვანებებია აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის საქმეშიც. კოხნარისა და ბუნიკაურის დამხმარე სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელები ცუდად მარაგდებიან პროდუქტებით, განსაკუთრებით რძის ნაწარმით, თევზეულით, ბოსტნეულითა და კვერცხით. მარტო 1983 წლის IV კვარტალში კოხნარის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა ვერ მიიღეს 152 კგ. ლობიო, 2070 კგ. კარტოფილი, 1083 კგ. ხილი, 502 კგ. ხორცი, 184 კგ. თევზი, 1783 ლიტრი რძე, 168 კგ. ყველი, 4717 ცალი კვერცხი, ხოლო ბუნიკაურის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს 1984 წლის I კვარტალში დააკლდათ ნორმით გათვალისწინებული 77% ბოსტნეული, 60% კვერცხი, 48% თევზი, 68% ყველი, საერთოდ არ მიუღიათ რძე, ხაჭო და არაჟანი.

არსებულ მოთხოვნათა შესაბამისად არ არის მოწყობილი პროდუქტების საცავები, რის გამოც ირღვევა მათი შენახვის წესი (გუმათის დამხმარე სკოლა-ინტერნატი). არის შემთხვევები, როდესაც მენიუში არ აღინიშნება ულუფების გამოსავლიანობა (ბუნიკაურისა და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატები); ირღვევა პროდუქტების გაცემის დადგენილი ნორმები, ნორმით გათვალისწინებული 500 გრ. პურის ნაცვლად, აღსაზრდელებს ეძლევათ 700, ზოგჯერ კი 800 გრ. პური, გაზრდილია შაქრის გაცემის ნორმა. გვხვდება წვნიანი კერძების მცენარეულ ზეთზე დამზადების (კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატი), მარგარინის გამოყენების შემთხვევები (გუმათის დამხმარე სკოლა-ინტერნატი); ხშირია ძვირადღირებული და ვადაგასული პროდუქტების შემოტანის შემთხვევებიც.

ხარვეზებია დამხმარე სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების საქმეში. შემოწმების დღისათვის აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება არ იყო ჩატარებული და დამატებით კვებაზე არ ყავდათ აყვანილი სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვები კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატში. თანამედროვე მოთხოვნებს არ პასუხობს ახალციხის, ბუნიკაურისა და გუმათის სკოლა-ინტერნატების იზოლატორები და ჰიგიენის ოთახები.

აღნიშნულ სკოლა-ინტერნატებში სუსტია სამედიცინო პერსონალის მუშაობა. იგი სათანადოდ არ არის მიმართული მოსწავლეთა განვითარებაში არსებული ნაკლის მაქსიმალური კორექციისაკენ.

ნაკლოვანებებით ხასიათდება აღმზრდელობითი მუშაობაც. აღმზრდელთა გეგმები და ჩანაწერები ზოგადია, სააღმზრდელო მუშაობის დროს ნაკლებადაა გათვალისწინებული თითოეული აღსაზრდელის ფსი-

ქიკური განვითარების შესაძლებლობები და ინდივიდუალური თავისებურებანი. სუსტია კლასის ხელმძღვანელთა და აღმზრდელთა ერთობლივი მუშაობა (კოხნარის, გუმათის, ახალციხის სკოლა-ინტერნატები), ნაკლები ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა მიერ საშინაო რვეულების სწორად წარმოებას, წერის კულტურის გამომუშავებას.

არადამაკმაყოფილებელია ბუნიკაურისა და კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატების პიონერული ორგანიზაციების მუშაობა, ზოგადია მათი გეგმები. ნაკლებადაა გათვალისწინებული აღსაზრდელთა ძირითადი ნაკლის კორექციისათვის ჩასატარებელი ღონისძიებები.

ახალციხის, ბუნიკაურის, კოხნარისა და გუმათის სკოლა-ინტერნატების ბიბლიოთეკების მიერ სათანადო მუშაობა არ ტარდება მოსწავლეებში წიგნის პროპაგანდის, მათი იდეურ-პოლიტიკური, ესთეტიკური დონის ამაღლების მიმართებით. ღარიბია ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი; სუსტია ბიბლიოთეკების კონტაქტები მასწავლებლებთან, აღმზრდელებსა და პიონერულ ორგანიზაციასთან, ნაკლებად ტარდება ერთობლივი ღონისძიებები.

ხარვეზებია საკლასო ჟურნალების წარმოების საქმეში. ადგილი აქვს მასალის არააკურატულად, არასწორად შეტანის, ნიშნების ამოშლის, გადასწორების, რიგი მონაცემების შეუვსებლობის შემთხვევებს (ახალციხის, გუმათის, ბუნიკაურის სკოლა-ინტერნატები); წესრიგშია მოსაყვანი მოსწავლეთა პირადი საქმეები, აღსაზრდელთა დახასიათებები არ იძლევა მათი ფსიქიკური განვითარების ნათელ სურათს (გუმათი, კოხნარი, ბუნიკაური), ფორმალურად ხდება მოსწავლეთა დაკვირვების რვეულების წარმოება, ადგილი აქვს აღსაზრდელთა ინსტრუქციის დარღვევით ჩარიცხვის ცალკეულ შემთხვევებს.

გუმათის, კოხნარის, ბუნიკაურისა და ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატების მუშაობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. ქუთაისის, ჩოხატაურის, ახალციხისა და ჭიათურის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ნ. ხანთაძე, ე. კობაძე, გ. ცხადიაშვილი):

1. 1. გააძლიერონ დახმარება და კონტროლი აღნიშნული სკოლა-ინტერნატების მუშაობაზე. ადგილობრივ ზემდგომ ორგანოებთან ერთად ოპერატიულად დასახონ ქმედითი ღონისძიებები სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. მაგარი ინვენტარისა და ტექნიკურ საშუალებათა შესაძენად გამოყონ საჭირო თანხები.

2. ქ. ქუთაისის, ჭიათურის, აჭარის საოლქო, ხაშურის მედიკო-პედაგოგიური კომისიები (ამხ. ამხ. ე. ცივაძე, ა. ტერანტონოვა, ლ. ვაშაკიძე, გ. სახეჩიძე) მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდონ დამხმარე სკოლა-ინტერნატების სწორი დაკომპლექტების საქმეს, არ დაუშვან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმბეცილ და სხვადასხვა ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვთა დამხმარე სკოლა-ინტერნატებში გაგზავნა. მიმდინარე წლის სექტემბერში მოახდინონ აღსაზრდელთა გადამოწმება და უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატებიდან იმ ბავშვთა გაყვანა, რომლებიც დამხმარე სკოლა-ინტერნატში სწავლებას არ ექვემდებარებიან.

3. გუმათის, ახალციხის, კოხნარისა და ბუნიკაურის დამხმარე სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა (ამხ. ამხ. თ. ტყაბლაძე, პ. ალავიძე, კ. ასეიშვილი, გ. მიროტაძე):

3. 1. გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი აღმზრდელ-მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა ყოველდღიურ საქმიანობაზე, განახორციელონ ღონისძიებები სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის, მასწავლებელთა მეთოდური დონის ამაღლებისა და დაოსტატებისათვის:

3. 2. გაუმჯობესონ მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებების საქმიანობა, გააძლიერონ კონტროლი და დახმარება აღმზრდელთა ყოველდღიურ საქმიანობაზე, მიაღწიონ იმას, რომ სააღმზრდელო მუშაობა მიმართული იყოს აღსაზრდელთა ძირითადი ნაკლის კორექციისაკენ;

3. 3. განაზოგადონ მოწინავე მასწავლებელთა და აღმზრდელთა გამოცდილება, ხოლო სუსტად მომუშავე აღმზრდელებს აღმოუჩინონ მეთოდური დახმარება;

3. 4. იზრუნონ სკოლა-ინტერნატების სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასაყვანად, მათი თვალსაჩინო-დიდაქტიკური და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისათვის;

3. 5. ჯეროვანი ყურადღება დაუთმონ პიონერული ორგანიზაციების საქმიანობას, იზრუნონ პიონერული მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისათვის; ბიბლიოთეკების მუშაობა წარმართონ მოსწავლეებში წიგნის პროპაგანდის, იდეურ-პოლიტიკური, ესთეტიკური დონის ამაღლების მიმართებით; გაამდიდრონ წიგნადი ფონდი;

3. 6. არ დაუშვან სკოლა-ინტერნატში მოსწავლეთა ჩარიცხვის არც ერთი შემთხვევა მედიკო-პედაგოგიური კომისიის დასკვნის გარეშე;

3. 7. მეტი ყურადღება მიაქციონ სასკოლო დოკუმენტაციის სწორად წარმოების საქმეს და გადაჭრით აღკვეთონ ამ მიმართებით არსებული ნაკლოვანებები;

3. 8. ქმედითი ღონისძიებები გაატარონ შრომითი სწავლების სახელოსნოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასამტკიცებლად, მოქმედი სასწავლო პროგრამებისა და არსებული ნორმების მიხედვით მისი საჭირო დგამ-ავეჯით, ხელსაწყო-იარაღებით, დანადგარებით, ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით უზრუნველყოფისათვის;

3. 9. შექმნან პროფორიენტაციის კაბინეტები ან კუთხეები აღსა-

ზრდელთა საპროფორიენტაციო მუშაობის მიზანმიმართული წარმართვისათვის;

3. 10. გააძლიერონ კონტროლი შრომის მასწავლებლების საქმიანობაზე, მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

3. 11. გამოყონ და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ორიენტაციის კაბინეტები აღჭურვონ ახალი სასწავლო წლისათვის სათანადო ინვენტარითა და დგამ-ავეჯით.

4. სასწავლო-აღმზრდელობით და სამეურნეო საქმიანობაზე ყურადღებისა და ხელმძღვანელობის შესუსტებისათვის ახალციხისა და ბუნიკაურის დამხმარე სკოლა-ინტერნატების დირექტორებს (ამხ. ამხ. პ. ალავიძე, გ. მიროტაძე) გამოეცხადოთ საყვედური.

5. ცნობად იქნას მიღებული, რომ კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. კ. ასეიშვილს ინტერნატის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და საშემსრულებლო დისციპლინის შესუსტებისათვის საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიონული კომიტეტის ბიუროს დადგენილებით 1983 წელს გამოცხადებული აქვს სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

6. აღინიშნოს ჭიათურის, ახალციხისა და ჩოხატაურის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების (ამხ. ამხ. გ. ცხადიაშვილი, ვ. კოპაძე) სუსტი ხელმძღვანელობა და კონტროლი მათ დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობაზე.

7. დაევალოს ქ. ქუთაისის, ქ. ჭიათურის, ახალციხისა და ჩოხატაურის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს განიხილონ აღნიშნული გადაწყვეტილება განათლების საბჭოს სხდომაზე და გატარებული ღონისძიებების შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლომდე.

8. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ჰ. თუთბერიძე) დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

გადაწყვეტილება — ავტომობილის ნორჩ მძღოლთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ 3

ბრძანება № 1242/530 — მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შესახებ . . . 15

ბრძანება № 534 — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ . . . 31

Приказ № 534 — о дальнейшем улучшении работы общеобразовательных школ-интернатов, детских домов и других интернатных учреждений . . . 35

ბრძანება № 540 — 1-ლი სექტემბრის — საერთო-სახალხო დღესასწაულის — ცოდნის დღის აღნიშვნის შესახებ . . . 39

ბრძანება № 557 — მახარაძის, ლანჩხუთის რაიონებისა და ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების მუშაობის შესახებ . . . 40

ბრძანება № 558 — რესპუბლიკის ინტერნატულ დაწესებულებათა სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ . . . 47

ბრძანება № 559 — იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამტკიცების შესახებ, რომლებშიც უფროსი კლასების მოსწავლეები ავტომობილის მძღოლის პროფესიას ეუფლებიან . . . 51

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ პიონერ-მოსწავლეთა მე-9 რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრების შედეგებისა და მე-10 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების შესახებ . . . 52

გადაწყვეტილება — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გაძლიერების თაობაზე“ გამომდინარე საქართველოს სსრ სახალხო განათლების ორგანოების ამოცანების შესახებ . . . 58

Решение — о задачах органов народного образования республики, вытекающих из постановления ЦК КПСС «О дальнейшем улучшении партийного руководства комсомолом и повышении его роли в коммунистическом воспитании молодежи» . . . 63

ინფორმაცია — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატსა და ზოგიერთ რეგიონში მშრომელთა განცხადება-საჩივრებზე მუშაობის მდგომარეობის შესახებ . . . 68

ბრძანება № 563 — რესპუბლიკის დამხმარე სკოლა-ინტერნატების (სკოლების) მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ . . . 70